

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის  
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

დავით სამნიძე

ეკოლოგიური დემოკრატიის განხორციელება  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია  
საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი  
საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2021

## აბსტრაქტი

ეკონომიკური პროგრესი ეკოლოგიური რეგრესის პირდაპირპროპორციულია. გარემოს დაცვისა და საზოგადოების მოთხოვნილებების სწორად დაბალანსება თანამედროვე მსოფლიოსთვის აქტიურ პრობლემას წარმოადგენს. მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციების შემოღებამ და შემდეგ გამკაცრებამ ვერ უზრუნველყო ამ გამოწვევის წინაშე წარმატების მიღწევა. დღის წესრიგმა თანდათანობით მოიტანა საზოგადოების გათვითცნობიერებული მონაწილეობითა და ჩართულობით ეკონომიკურ ინტერესებთან შედარებით ეკოლოგიური ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებით დადებითი შედეგების დადგომის აუცილებლობა.

ნაშრომში „ეკოლოგიური დემოკრატიის განხორციელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ განხილულია გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტისას მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართულობის ხარისხი, ასევე ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.

ნაშრომში შესწავლილია გარემოს დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის – როლი, ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს, მიერ ძალაუფლების თანამონაწილეობით რეალიზებაში და ეკოლოგიური დემოკრატიის პრაქტიკულად განხორციელების მდგომარეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის მხრივ, რისთვისაც გამოყენებული იქნა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და მისი ანალიზის, სამართლებრივი რეგულირების მიმოხილვის, ანკეტირების მეთოდები.

ნაშრომში წარმოჩენილი პრობლემატური საკითხების კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მათი გადაჭრისა თუ გამოსწორებისათვის შემოთავაზებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საზოგადოების რეალური ჩართულობის ამაღლებას ეკოლოგიური დემოკრატიის განვითარების კუთხით.

დავით სამნიძე

## Abstarct

Economic progress is directly proportional to ecological regression. Properly balancing the needs of the environment and society is an active problem for the modern world. Only the introduction of legal regulations and subsequent tightening could not ensure success in the face of this challenge. The agenda has gradually brought about the need for positive outcomes by prioritizing environmental interests over economic interests through the conscious participation and involvement of the public.

The paper „Implementation of Ecological Democracy on the Territory of the Autonomous Republic of Adjara“ discusses the degree of public awareness and involvement in solving environmental issues, as well as access to justice in this area.

The paper examines the role of one of the most important principles of environmental protection - public participation in decision-making - the exercise of power by the people as a source of power and the practical implementation of ecological democracy in terms of informing and involving the public in the decision-making process. Methods of its analysis, review of legal regulation, survey.

Based on the results of the research of the problematic issues presented in the paper, the recommendations proposed for their solution or correction will help to increase the real involvement of the society in the development of ecological democracy.

David Samnidze

## სარჩევი

შესავალი .....	5
თავი პირველი - ეკოლოგიური დემოკრატიის წარმოშობა, ცნება და არსი .....	8
1.1. გზა ეკოლოგიური დემოკრატიისკენ .....	8
1.2. ეკოლოგიური დემოკრატიის ცნება და არსი .....	10
თავი მეორე - ეკოლოგიური დემოკრატიის განმამტკიცებელი სამართლებრივი წესრიგი	14
2.1. საქართველოს კონსტიტუცია .....	14
2.2. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია .....	22
2.3. ბუდვას დეკლარაცია „ეკოლოგიური დემოკრატია ჩვენი მდგრადი მომავლისთვის“.	27
2.4. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ....	29
2.5. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები .....	30
თავი მესამე - გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა .....	32
თავი მეოთხე - საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში .....	42
თავი მეხუთე - გარემოს დაცვის სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა .....	50
5.1. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტები .....	50
5.2. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით .....	53
თავი მეექვსე - მდგრადი განვითარება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით და ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობა .....	55
დასკვნა .....	62
ბიბლიოგრაფია .....	64
დანართები .....	67

## შესავალი

**საკვლევი თემის აქტუალობა.** გარემოს დაცვა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და მიუხედავად კაცობრიობის თავდაუზოგავი მცდელობისა, ეკონომიკური მოთხოვნილებების მინიმუმამდე დაყვანამაც ვერ უზრუნველყო ეკოლოგიური მდგომარეობის შესაბამისი გაუმჯობესება. საზოგადოების ჩართულობის მცდელობის შედეგადაც კი მაინც რჩება მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და ხელოვნური ბარიერების პრობლემა.

**საკვლევი თემის მეცნიერული დამუშავების დონე.** ეკოლოგიური დემოკრატიის საკითხები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით არაა აქტიური დამუშავების საგანი. ამ თემაზე არსებობს მათა ბითაძის სადოქტორო ნაშრომი - „ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე“, გიორგი გაბუნიას „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში - პრაქტიკის ანალიზი და შედარება ქართულ სამართალთან“, ნინო ანთაძის „საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია“ და სხვა, რომელთა გაცნობის შემდეგ გაჩნდა სურვილი ერთგვარ სიცარიელეში ახალი ნაშრომით მოკრძალებული წვლილის შეტანისა.

**საკვლევი პრობლემის ფორმულირება.** ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება კონსტიტუციური გარანტიაა. გარემოსდაცვითი ლიტერატურის შესწავლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეკოლოგიური დემოკრატიის განხორციელების მხრივ არსებული პრობლემების გადაჭრის გზები კვლავაც ღიადაა დარჩენილი და საჭიროებს ახლებურად გააზრებას.

**კვლევის ობიექტი.** მოცემული ნაშრომის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ეკოლოგიური დემოკრატიის სამი ფუნდამენტური პრინციპის (გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში; და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა) განხორციელება ერთი კონკრეტული რეგიონის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

**კვლევის საგანი.** ნაშრომის კვლევის საგანს თავდაპირველად წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკოლოგიური დემოკრატიის პრინციპების განხორციელება, თუმცა აღნიშნულ საკითხზე საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე უარის შემდეგ, კვლევის საგნად აღებულ იქნა ეკოლოგიური დემოკრატიის ცნების ფორმულირებისა და პრაქტიკაში რეალიზების გზების გაუმჯობესება.

**კვლევის მიზანია** გამოვავლინოთ ეკოლოგიური დემოკრატიის ცნებაში და არს-ში სამ ფუნდამენტურ პრინციპთან ერთად მეოთხე პრინციპის (მდგრადი განვითარება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით) არსებობის აუცილებლობა სპეციფიკური განათლების საჭიროებასთან ერთად.

**საკვლევი ჰიპოთეზა.** ეკოლოგიური დემოკრატიის არსებული არანორმატიული და ნორმატიული შინაარსის მქონე განმარტებები ამომწურავად ვერ ახასიათებენ მის მნიშვნელობასა და როლს გარემოს დაცვის შეუქცევადი განმტკიცების პროცესში.

**საკვლევი ამოცანებია:** შევისწავლოთ ეკოლოგიური დემოკრატიის ცნება და არსი, გარემოსდაცვითი შინაარსის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა და დავახასიათოთ „მდგრადი განვითარება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით“, როგორც ახალი პრინციპი, რომლის რეალიზებისათვის აუცილებელია ეკოლოგიური განათლება.

**კვლევის თეორიული ბაზა.** ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულ იქნა ე. წ. ორჰუსის კონვენციასა და მის შესაბამისად გამოქვეყნებულ გარემოსდაცვითი ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურაში თუ საანგარიშო კვლევებში არსებული შეხედულებები ეკოლოგიური დემოკრატიის განმარტებისა და არსის შესახებ.

**კვლევის მეთოდები.** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისეთი კვლევის მეთოდები, როგორებიცაა: წყაროს, დოკუმენტის ანალიზი, კლასიფიკაცია-დაჯგუფების, შედარების, ანკეტირებია და სხვა მეთოდი.

**კვლევის მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს გარემოსდაცვით საკითხებზე არსებული ცოდნის კონკრეტიზაციით ეკოლოგიური დემოკრატიის ცნების განმარტება-

ში ახალი ელემენტის შემოტანის მცდელობა და ასევე, შესაბამისად, მის შინაარსში ახალი პრინციპის წარმოჩენა.

**დასაცავად გამოსატანი დებულებები.** ეკოლოგიური დემოკრატიის პრაქტიკულ რეალიზებას ვერ უზრუნველყოფს აქამდე ცნობილი სამი ფუნდამენტური პრინციპი, საჭიროა მეოთხე პრინციპის დამატება, რომელიც თავისთავად – ეკოლოგიური განათლების გარეშე არ იქნება საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად.

**კვლევის თეორიული დანიშნულებაა** გარემოს დაცვისადმი სამართლებრივი და ფილოსოფიური მიდგომების გადაკვეთის შედეგად ჩამოყალიბებული მიმდინარეობის - ეკოლოგიური დემოკრატიის ცნების დახვეწა-სრულყოფის მცდელობა და ახალი პრინციპის დამატება.

**კვლევის პრაქტიკული დანიშნულებაა** გარემოს დაცვის სამართლით დაინტერესებულ პირთათვის ორჰუსის კონვენციისა და ეკოლოგიური სამართლის საკითხების შედარება ქართულ სამართლებრივ რეალობასთან.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიისა და დანართისაგან.

## თავი პირველი

### ეკოლოგიური დემოკრატიის წარმოშობა, ცნება და არსი

#### 1.1. გზა ეკოლოგიური დემოკრატიისკენ

თანამედროვე სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი სამი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ფუნქციიდან (თავდაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მშვიდობა, გარემოს დაცვა) თავისი მასშტაბებითა და მოსალოდნელი შედეგებით ყველაზე უფრო აქტუალური სწორედ გარემოს დაცვაა, ვინაიდან მისი განხორციელება მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოების ტერიტორიებზე პრაქტიკულად შეუძლებელია. მართალია, კოლექტიური თავდაცვა და უსაფრთხოება დღევანდელი მსოფლიოსათვის არ არის უცხო, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების თვითპროგრესირებადმა ტემპმა ეკოლოგიური საფრთხე შეუქმნა მთელი მსოფლიოს ბუნებრივ გარემოს და სწორედ ეს სფერო გადაიქცა სახელმწიფოებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის ყველაზე უფრო გადაუდებელ გამოწვევად. „ამ სფეროში საერთო პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის აუცილებლობა თითოეული სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვის ამოცანის ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებას იწვევს“.<sup>1</sup>

გარემოსდაცვითი გამოწვევების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჩარჩოებიდან გლობალურ მასშტაბებში თანდათანობით გადაზრდის შემდეგ თითქმის ყველა ქვეყნის შიდა კანონმდებლობით მეტ-ნაკლებად ამომწურავად, მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც საკმაოდ განსხვავებულად დარეგულირებულმა სამართლებრივმა ურთიერთობებმა ცალ-ცალკე ვეღარ უზრუნველყო კაცობრიობის წინაშე არსებული გლობალური პრობლემების განეიტრალება და აუცილებელი გახდა ამ სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის შემუშავება და მთელი მსოფლიოსათვის ერთიანი ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელსაც იდეაში, თავის მხრივ, რეცეფციის შედეგად ერთგვაროვნად უნდა მოეწესრიგებინა ყველა ქვეყნის ინდივიდუალური დამოკიდებულება და მიდგომა არსებული პრობლემებისადმი. „1972 წელს სტოკჰოლმში ჩატარებულ

<sup>1</sup> ლევან იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 114  
<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/203686/1/TanamedroveSaxelmcfifoTanamedroveAdministracia.pdf>



გაეროს კონფერენციაზე, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებს მიეძღვნა, დასაბამი მიეცა გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალს, როგორც საერთაშორისო სამართლის ცალკე და უახლეს სფეროს“.<sup>2</sup>

საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულმა ნორმატიულმა დებულებებმა, რა თქმა უნდა, იქონია გავლენა არა მარტო თითოეული ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობაზე, არამედ აღნიშნული სფეროს ტერმინოლოგიური ჰარმონიზაციაც მოახდინა. მაგალითად, თუ მანამდე სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულად მოიხსენიებდა ამ დარგს (ბუნების დაცვის სამართალი, გარემოს დაცვის სამართალი, ეკოლოგიური სამართალი და ა. შ.), გაეროს მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე რადგან გამოყენებული იქნა სიტყვათა წყობა „გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი“, შესაბამისად, სახელმწიფოებმაც მოახდინეს ამ დასახელების იმპლემენტაცია და ამ დარგს გარემოს დაცვის სამართალი უწოდეს.

XX საუკუნის ბოლოს ცხადი გახდა, რომ თუნდაც იდეალურად მოწესრიგებული საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები და მათი სავალდებულო იმპლემენტაცია თითოეული სახელმწიფოს მიერ, მაინც ვერ უზრუნველყოფდა გარემოს დაცვის ანთროპოცენტრული მიზნის (გარემოს დაცვა ადამიანისათვის) და გარემოს დაცვის ეკოცენტრული მიზნის (გარემოს დაცვა გარემოსთვის) შეუქცევად განმტკიცებას.

ცალკეული სახელმწიფოებისა და, შესაბამისად, მთელი მსოფლიოს ეკონომიკის შეუქცევადმა ზრდამ აუცილებელი გახადა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და შენარჩუნებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა და ერთგვარი „კონსენსუსური“ მდგომარეობის მიღწევა, რისთვისაც გარდაუვალი იყო ეკონომიკური განვითარებისათვის გარკვეული მიმართულებების მისაცემად სახელმწიფო პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტების დანერგვა. ადამიანისა და ბუნების საუკეთესო ურთიერთობამ არ უნდა გამოიწვიოს არც ეკონომიკის ზრდის ტემპის ხელოვნურად შეჩერება და არც გარემოში საზოგადოების აუცილებელი ჩარევის უგულებელყოფა. ასევე, საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

---

<sup>2</sup> პიტერ მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 270 <http://45.9.47.22:777/ViewBook.php?Key=P=cTO4YDfmRGcuMzN3ITLr92bCVGfzczNywXN4IDNm>

დამოკიდებული კი არ უნდა იყოს წარმოების უწყვეტ გაფართოებაზე, არამედ მხოლოდ - საარსებოდ აუცილებელ მოცემულობაზე.

ამის პარალელურად არსებულმა გარემოზე მოქმედმა არაეკონომიკურმა ანთროპოგენურმა ფაქტორებმაც გარკვეული როლი შეასრულეს გარემოს დაცვის მიმართ არსებული მიდგომების ახლებურად გააზრებაში, რამაც ერთგვარად ფილოსოფიური დატვირთვაც კი შეიძინა. გარემოს ნორმატიულ გაგებას (იურიდიული დოგმატიკის ან სასამართლო გადაწყვეტილებებით გარემოს ცალკეული კომპონენტების შინაარსის დადგენა) თვისობრივად შეერწყა გარემოს რესტრიქტიული გაგება (ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემო) და გარემოს ექსტენსიური გაგება (მთლიანად ის გარემოცვა, სადაც ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს, მათ შორის, სოციალური, პოლიტიკური და ა. შ. გარემოცვა).

ერთის მხრივ ეკონომიკისა და ბუნების, მეორეს მხრივ კი საზოგადოებისა და გარემოს ჰარმონიული ურთიერთობა, ნორმატიული ჩარჩოებიდან ისევ ეთიკურ-მორალურ მსოფლმხედველობრივ ჭრილში გადაიზარდა და თითოეული ინდივიდის მხრიდან დემოკრატია და ბუნებას შორის აუცილებელი შეთანხმებული ურთიერთობის რწმენით გაჯერებული თანამონაწილეობისა და ჩართულობის გააქტიურება მოითხოვა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გარემო თავად არის „ადგილობრივი“ მოცემულობა, ხელისუფლების ჩარევის პარალელურად, აუცილებელია, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის მხრიდან შესაბამისი განათლებულობაც, რათა მათი საარსებო გარემო მათივე მონაწილეობით იქნეს შენარჩუნებული ცხოვრებისათვის ხელსაყრელ მდგომარეობაში.

გარემოს დაცვის ვალდებულების სიმძიმის ცენტრის გადატანა მოსახლეობაზე მათი ჩართულობისა და თანამონაწილეობის ეფექტურობის ხაზგასმით, სხვადასხვა სიტყვებით მოიხსენიებოდა: „მწვანე ალტერნატივა“, „მწვანე იდეა“, „გარემო ადამიანისთვის“ და ა. შ. დღეისათვის კი მოქმედებს სიტყვათა შეთანხმება – „ეკოლოგიური დემოკრატია“.

## 1.2. ეკოლოგიური დემოკრატის ცნება და არსი

ეკოლოგიური დემოკრატის ცნების განმარტება პირველად მოგვცა ბერძენმა ეკონომისტმა და პოლიტიკური ფილოსოფიის მიმდევარმა ტაკის ფოტოპულოსმა თა-

ვის წიგნში „მრავალგანზომილებიანი კრიზისი და ინკლუზიური დემოკრატია“, რომლის მიხედვითაც ეს არის: „ინსტიტუციური ჩარჩო, რომლის მიზანია აღმოფხვრას ნებისმიერი მცდელობა, გაბატონდეს ბუნებრივ სამყაროზე; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანისა და ბუნების რეინტეგრაციას. ეს გულისხმობს ბუნების ამჟამინდელი „ინსტრუმენტალისტური“ ხედვის გადალახვას, რომელშიც ბუნება განიხილება, როგორც ეკონომიკის ზრდის ინსტრუმენტი, ძალაუფლების უსასრულო კონცენტრაციის პროცესში“.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული განმარტება არ არის ნორმატიული შინაარსის, მაინც უნდა გამოიყოს ცნების რამდენიმე არსებითი ელემენტი, რომლებიც ფაქტურად, ეკოლოგიური დემოკრატის ნიშნებია: 1. „ინსტიტუციური ჩარჩო“; 2. „ბუნებრივ სამყაროზე გაბატონება“; 3. „ადამიანისა და ბუნების რეინტეგრაცია“; 4. „ბუნების „ინსტრუმენტალისტური“ ხედვა“; 5. „ბუნება, როგორც ეკონომიკის ზრდის ინსტრუმენტი“; 6. „ძალაუფლების უსასრულო კონცენტრაცია“. მე-2 და მე-6 ნიშანი ისევე, როგორც მე-4 და მე-5 ნიშანი კონტექსტიდან გამომდინარე ერთი და იგივე მნიშვნელობისაა და ერთობლივად იქნება განმარტებული.

ინსტიტუციური ჩარჩო არის მოწესრიგებული სამართლებრივი რეგულირებისა და მასთან შესაბამისად ხელისუფლების კოორდინირებული საქმიანობის ერთიანობა.

ბუნებრივ სამყაროზე გაბატონება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ძალაუფლების უსასრულო კონცენტრაციით არასასურველ და არასაჭირო გავლენას ახდენს გარემოზე.

ადამიანისა და ბუნების რეინტეგრაცია არის ეკონომიკური განვითარების შედეგად გარემოსადმი საზოგადოების გაუცხოების ამჟამინდელი მდგომარეობის წარსულში არსებული ჰარმონიული თანაცხოვრებისაკენ მიბრუნება.

ბუნების „ინსტრუმენტალისტური“ ხედვა არის გარემოში არსებული რესურსების გამოყენება მხოლოდ ეკონომიკის ზრდის დანიშნულებით.

ე. წ. „ორჰუსის კონვენციის“ მიხედვით ეკოლოგიური დემოკრატის ნორმატიული შინაარსიც ოთხელემენტია, თუმცა ხაზგასმით გამოყოფილი მხოლოდ სამი

---

<sup>3</sup> Takis Fotopoulos, The Multidimensional Crisis and Inclusive Democracy, Athens, 2005, გვ. 245 <https://www.inclusivedemocracy.org/journal/pdf%20files/Multidimensional%20Crisis%20Book.pdf>

ელემენტია (რომლებსაც სხვადასხვა ავტორი ფუნდამენტურ პრინციპებს უწოდებს): „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“, „გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა“ და „გარემოს დაცვის სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა“. რაც შეეხება მეოთხე ელემენტს - ეს არის „მდგრადი განვითარება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით“ (რომელსაც რატომღაც ორ ნაწილად ჰყოფენ: ცალკე „მდგრადი განვითარება“ და ცალკე „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესები“). ორჰუსის კონვენცია და ეს ელემენტები ნაშრომის მომდევნო თავებში იქნება განხილული.

ვინაიდან ეკოლოგიური დემოკრატია არის ეკოსოციალიზმის კონცეფციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, კონცეფციად ჩამოყალიბების ტენდენციას ავლენს და რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ხალხის, არამედ ცხოველების, მცენარეების, მიკროორგანიზმების, ეკოსისტემების უფლებებს, მიზანშეწონილია განვმარტოთ ეკოსოციალიზმიც: „ეკოსოციალიზმი - კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სოციალურად სამართლიანი საზოგადოება შეიძლება აშენდეს მხოლოდ იმ ეკონომიკური განვითარების მოდელების უარყოფის პირობით, რომლებიც საზიანოა ბუნებისთვის“.<sup>4</sup>

ასევე მნიშვნელოვანია განიმარტოს ინკლუზიური დემოკრატიაც, ვინაიდან ეკოლოგიური დემოკრატია, სწორედ ამ უკანასკნელის ერთ-ერთი სახეა. „ინკლუზიური დემოკრატია არის დემოკრატის ახალი კონცეფცია, სოციალური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ახდენს საზოგადოების ინტეგრაციას ეკონომიკასთან, პოლიტიკასა და ბუნებასთან“.<sup>5</sup>

გარემოს დაცვაში „აუცილებელი“ ეკოლოგიური კონსენსუსი ვერ მიიღწევა მხოლოდ ათენური დემოკრატის დამყარებით, რადგან ბუნებრივ და სოციალურ სამყაროს შორის ჰარმონიული ურთიერთობებისთვის საჭიროა მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ინფორმირებულობის დონის ამაღლება. ივარაუდება, რომ დღეს მხოლოდ ინფორმირებულ საზოგადოებას შეუძლია ინკლუზიური დემოკრატია

---

<sup>4</sup> ონლაინ ლექსიკონი <https://artsandculture.google.com/entity/m0ct2y6?hl=en>

<sup>5</sup> Takis Fotopoulos, What is Inclusive Democracy?, Routledge Encyclopedia of International Political Economy, 2001 [https://www.inclusivedemocracy.org/fotopoulos/english/brbooks/inclusive\\_entry.htm](https://www.inclusivedemocracy.org/fotopoulos/english/brbooks/inclusive_entry.htm)

უზრუნველყოს, რასაც, რა თქმა უნდა, ესაჭიროება ისეთი სამართლებრივი წესრიგით მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელია ბუნებასა და საზოგადოებას შორის შეთანხმებული ურთიერთობისათვის საკმარისი პირობების შესაქმნელად.

ეკოლოგიური კრიზისების დასაძლევად ჩამოყალიბდა მიდგომა, რომელიც ვერტიკალური დანაწილების პრინციპით ცენტრალიზებულად (საერთაშორისო დონეზე) შემუშავებული სამართლებრივი წესრიგით უზრუნველყოფს რეგიონულად (სახელმწიფოების დონეზე) იმპლემენტირებული რეგულაციების არსებობას, რომელიც კვლავ, თავის მხრივ, იწვევს ადგილობრივ (სახელმწიფოს შიდატერიტორიული მოწყობის შესაბამისად) დონეზე პასუხისმგებლობის შეგრძნების გააქტიურებას და ასე რამდენიმე საფეხურად, სანამ თითოეული ინდივიდის შეგნებამდე არ დავა ეს ყველაფერი. თანაც საინტერესოა, რომ თავდაპირველი ცენტრალიზებული წესრიგი ქვედა საფეხურებზე თანდათანობით იძენს დეცენტრალიზებულ ხასიათს. გარემოს დასაცავად ცენტრალიზებული კონტროლი აუცილებელია, თუმცა თავად გარემოს „ადგილობრივი“ ხასიათიდან გამომდინარე ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან კონტროლი საერთო რესურსების კოლექტიურ მენეჯმენტს უფრო ეფექტურს ხდის და როდესაც ადამიანები უშუალოდ ეყრდნობიან თავიანთ ბუნებრივ გარემოს, როგორც საარსებო წყაროს, ეს ნამდვილად დადებითად აისახება გარემოსადმი მათ ქცევაზე, რადგან გარემოს დაცვის პირდაპირი ინტერესი საზოგადოების გრძელვადიანი არსებობის განმაპირობებელია.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე** ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას საერთოდ არ აქვს წარმოდგენა ეკოლოგიური დემოკრატიის არსის შესახებ. კითხვაზე „რა არის ეკოლოგიური დემოკრატია?“ გამოკითხულთაგან ყველაზე მეტმა (45,1%-მა) უპასუხა - ეკოლოგების მმართველობა, მეორე ადგილი (24,4%) დაიკავა პასუხმა - სასწავლო დისციპლინა, მესამე პოზიციაზე (12,7%-ით) გავიდა პასუხი - უბრალოდ გარემოს დაცვა (**იხ. დანართი № 1**).

## თავი მეორე

### ეკოლოგიური დემოკრატიის განმამტკიცებელი სამართლებრივი წესრიგი

ეკოლოგიური დემოკრატიის განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი წესრიგის განმამტკიცებელი დებულებები მიმოფანტულია უამრავ იურიდიულ დოკუმენტში. მათგან მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესის განხილვაა საინტერესო. თუმცა მათი დაჯგუფება მოხდა არა საერთაშორისო-შიდასახელმწიფოებრივის მიმართებით, არამედ იერარქიულად – იურიდიული ძალის მიხედვით. ეს აქტებია: 1. საქართველოს კონსტიტუცია; 2. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (ე. წ. ორჰუსის კონვენცია); 3. ბუდვას დეკლარაცია „ეკოლოგიური დემოკრატია ჩვენი მდგრადი მომავლისთვის“; 4. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის; 5. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

#### 2.1. საქართველოს კონსტიტუცია

გარემოს დაცვის თაობაზე კონსტიტუციური დებულებების ცვლილებათა ანალიზი ერთგვარად ეკოლოგიური დემოკრატიის ისტორიული განვითარების ეტაპების ანალოგს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის **1995 წლის 24 აგვისტოს** რედაქცია გარემოს დაცვას უთმობდა 37-ე მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებს: „3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. 4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათ-

სარგებლობას. 5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“.<sup>6</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ორჰუსის კონვენცია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული (საქართველოში ძალაში შევიდა 2001 წლის 30 ოქტომბერს), საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებდა იმ საკითხებს, რომლებიც შემდეგ აღნიშნული კონვენციით ეკოლოგიური დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებად იქნა მიჩნეული. აქ განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვათაწყობაში – „საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად“, ჯერ ეწერა სიტყვა „ეკოლოგიური“ და შემდეგ სიტყვა – „ეკონომიკური“. ანუ კანონმდებლისათვის (და, შესაბამისად, სახელმწიფოსათვის) საზოგადოების ეკოლოგიური ინტერესები უფრო პრიორიტეტული იყო, ვიდრე საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები (მართალია, შემდგომ ეს სიტყვათაწყობა შეიცვალა, თუმცა ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3-მე-4 პუნქტების იურიდიული შინაარსი ითვალისწინებდა შემდეგ ელემენტებს:

- ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება;
- ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის სუფლება;
- კულტურული გარემოთი სარგებლობის უფლება;
- ბუნებრივ გარემოზე გაფრთხილების ვალდებულება;
- კულტურულ გარემოზე გაფრთხილების ვალდებულება;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ეკოლოგიური ინტერესები;
- საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები;
- ახლანდელი თაობის ინტერესების გათვალისწინება;
- მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინება;
- გარემოს დაცვის სახელმწიფო უზრუნველყოფა;
- რაციონალური ბუნებათსარგებლობის სახელმწიფო უზრუნველყოფა;

---

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 37-ე მუხლი (1995 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით)  
<https://matsne.gov.ge/ka/document/download/30346/0/ge/pdf>

კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შემადგენლობა აქ არაა განხილული, რადგან ამ საკითხებს ეხება ნაშრომის მესამე თავი.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით სახელმწიფოს მიმართ დადგენილი იყო პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები. პოზიტიური იყო ვალდებულება, რომლის მიხედვით სახელმწიფოს გარემო უნდა დაეცვა კერძო პირების მიერ დაზიანებისაგან. ხოლო ნეგატიური იყო ის ვალდებულება, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, მისი აქტიური ქმედების ფარგლებში, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტებისა თუ სხვა ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას, გაეთვალისწინებინა და მაქსიმალურად შეემცირებინა საქმიანობის შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.

ზოგადად, 37-ე მუხლის შესახებ საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს<sup>7</sup> მსჯელობა: „საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის ... დანაწესი, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, საზოგადოების თითოეული წევრის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ... კონსტიტუციის აღნიშნული დებულებებით დაცული ვერ იქნება პირის უფლება, იცხოვროს მისთვის კომფორტულ ან/და ესთეტიკურად მისაღებ გარემოში და სახელმწიფოსგან მოითხოვოს აღნიშნულის უზრუნველყოფა. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების მიზანია, ყველამ იზრუნოს არსებულ ბუნებრივ გარემოზე და სახელმწიფოსგან მოითხოვოს მისი დაცვა. გარემო პირობების მზარდმა დეგრადაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გარდაუვალი გახადა ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს კონსტიტუციური დაცვის საჭიროება. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი მიუთითებს, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში“ და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები მხოლოდ გარემოს დაცვისაკენ მიმართულ კონსტიტუციურ ნორმა-

---

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუციის აწ უკვე ძალადაკარგულ ნორმებზე საუბრისას ნაშრომის საერთო სულისკვეთების გათვალისწინებით, ჭარბადაა გამოყენებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ამონარიდები.



პრინციპად იქნეს განხილული. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსის, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით უდავოა, რომ კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს. ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.<sup>8</sup>

კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი ავალდებულებდა ყველას, მათ შორის ინდივიდებსაც, რომ გაფრთხილებოდნენ ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წესების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებისათვის ითვალისწინებდა (და ახლაც ითვალისწინებს) ადმინისტრაციულ, სისხლისსამართლებრივ და კერძოსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

„ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების უფლების შინაარსის განსაზღვრისას ასევე ყურადღება უნდა მიექცეს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვებს: „ყველას აქვს უფლება ... სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები განამტკიცებენ ადამიანის უფლებას ბუნებრივ გარემოზე, კერძოდ, იმ გარემოზე, რომელიც, თავისთავად, ადამიანის ზემოქმედების გარეშე არსებობს და ადგენენ ყველას ვალდებულებას, გაუფრთხილდეს მას. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების დაცვის მიზანს არ წარმოადგენს სახელმწიფოს

---

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2 <https://www.matsne.gov.ge/document/view/1901109?publication=0>

ვალდებულების ან უფლებამოსილების დადგენა, თავისი შეხედულებისამებრ, საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად ან სხვა ფორმით განსაზღვროს, რა არის ადამიანის ცხოვრებისათვის საუკეთესო გარემო და შემდგომში შეეცადოს, შექმნას იგი აქტიური ჩარევის გზით. ამის საპირისპიროდ, კონსტიტუციის ხსენებული დებულებები, კონსტიტუციურ ფასეულობად აცხადებენ იმ საცხოვრებელ გარემოს, რომელიც არსებობს ადამიანის ჩარევის გარეშე. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიზანია ადამიანის ზემოქმედებისაგან მაქსიმალურად თავისუფალი გარემოს შენარჩუნება. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, არ მისცეს მესამე პირებს გარემოზე განუზომელი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა. ეს უნდა გამოიხატოს გარემოს დაცვის სფეროში ადამიანთა გარკვეული ქმედებების აკრძალვაში და ამ ქმედებების ჩადენისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებაში. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის გონივრული მოლოდინის არსებობას, რომ გარემოს დაზიანების შემთხვევაში, ნებისმიერი პირის მიმართ გამოყენებული იქნება სამართლებრივი ზემოქმედების ადეკვატური საშუალებები. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გარემოს დაზიანებისკენ მიმართულ ქმედებებთან დაკავშირებით პრევენციულ ფუნქციას შეასრულებენ“.<sup>9</sup>

**2010 წლის 15 ოქტომბრის** საკონსტიტუციო რეფორმა შეეხო შეეხო 37-ე მუხლსაც და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. 4. სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. 5. ყველას აქვს

---

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7 <https://www.matsne.gov.ge/document/view/1901109?publication=0>

უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“.<sup>10</sup>

მართალია, 2010 წელს საქართველოში უკვე მოქმედებდა ორჰუსის კონვენცია და 37-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებები, გარკვეულწილად, მიზნად ისახავდა საერთაშორისო კანონმდებლობასთან საქართველოს კონსტიტუციის ჰარმონიზაციას, მაგრამ მაინც საყურადღებოა ერთი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი: სიტყვათაწყობაში „საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესები“ უკვე წინ გადმოინაცვლა ეკონომიკურმა ინტერესებმა. ამ ცვლილების დასაბუთება ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არ მოიპოვება. „2010 წლის კონსტიტუციური რეფორმები ამ მუხლსაც შეეხო. მართალია, იგი არსობრივად არ შეცვლილა, მაგრამ განხორციელდა გარკვეული რედაქციული შესწორებები, იმავდროულად, დაემატა სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარება, საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. როგორც ჩანს, სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნებაა“.<sup>11</sup>

აღნიშნულ შეცვლილ ფორმულირებაზე მსჯელობას ვხვდებით მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მართალია არ ასაბუთებს განხორციელებული ცვლილების აუცილებლობას, მაგრამ საკმაოდ ამომწურავად განმარტავს მის არსს. „სახელმწიფოს განვითარება, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესი, ხშირ შემთხვევაში, თავისთავად იწვევს გარემოზე მავნე ზემოქმედების ზრდას. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, შესაბამისად, სახელმწიფოს ხშირად უწევს ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება და დაბალანსება. ... ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო

---

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 37-ე მუხლი (2010 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით) <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/30346/24/ge/pdf>

<sup>11</sup> ავტორთა კოლექტივი, „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბილისი, 2013, გვ. 462 [http://www.library.court.ge/upload/Constitution Commentary Human Rights.pdf](http://www.library.court.ge/upload/Constitution%20Commentary%20Human%20Rights.pdf)

გარემოს უზრუნველსაყოფად ეკოლოგიის დაცვა შესაძლებელია ხშირად მოვიდეს კოლიზიაში სამეწარმეო თავისუფლების რეგულირების სფეროსთან. იმის გარკვევა, სახელმწიფოს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით, რა მოცულობით შეუძლია დაუშვას გარემოზე ზემოქმედება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების ძირითადი უფლების პრაქტიკული რეალიზების ერთ-ერთ ურთულეს სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს, რომელზეც ზოგადი და უნივერსალური მიდგომის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების გზით უნდა გაირკვეს, ამა თუ იმ ფორმით გარემოზე ზემოქმედება წარმოადგენს თუ არა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დარღვევას.<sup>12</sup> ბუნებათსარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისე, რომ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების პარალელურად დაბალანსდეს ეკოლოგიური ინტერესები, რათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო შენარჩუნდეს. შესაბამისად, ბუნებაზე ზემოქმედების შეზღუდვასთან დაკავშირებით, 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების რეგულირების სფეროს შესაძლებელია წარმოადგენდეს არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოსათვის დღეს არსებული (გარემოს სტატუს-ქვოსთვის შემცველი) საფრთხეების თავიდან აცილება, არამედ სამომავლო საფრთხეებისგან თავის დაცვაც“.<sup>13</sup>

გარდა „ეკონომიკური“-„ეკოლოგიურის“ ურთიერთმიმართების შეცვლისა, ასევე აღსანიშნავია „მდგრადი განვითარების“ ცნების შემოტანა, „რაციონალური ბუნებათსარგებლობის“ შეცვლა „ბუნებრივი რესურსების რაციონალური სარგებლობით“ (რაც შინაარსობრივად ერთი და იგივეა) და სახელმწიფოს მხრიდან მთელი რიგი ღონისძიებების ხაზგასმით დაფიქსირება. მდგრად განვითარებაზე საუბარი იქნება მეექვსე თავში, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფას: „ფორმულირება – „სახელმწიფო უზრუნველყოფს“, ბუნებრივია, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასაც გულისხმობს. აღმასრულებელი ხელისუფლება

---

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13 <https://www.matsne.gov.ge/document/view/1901109?publication=0>

<sup>13</sup> იქვე, II-3

მდგრადი განვითარების პრინციპს ითვალისწინებს განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების განმარტებისა და სხვა წმინდა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას. სასამართლო ხელისუფლებას კი ეს პრინციპი, როგორც წესი, ეხმარება გადაწყვეტილების დასაბუთების, ნორმის ინტერპრეტაციისა და კონკრეტიზაციის საქმეში<sup>14</sup>.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე საუბარი იქნება მესამე თავში, თუმცა აქ მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ 2010 წელს 37-ე მუხლის მე-5 პუნქტში „ადამიანის“ ნაცვლად ჩაიწერა „ყველა“ (ანუ ნორმის სუბიექტებად განისაზღვრა იურიდიული პირებიც) და ამოღებული იქნა სიყვა „სამუშაო“ (ანუ სამუშაო გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება შეიზღუდა).

ხოლო რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის დღეს მოქმედ, **2018 წლის 23 მარტის** რედაქციას, გარემოს დაცვის საკითხები უკვე განისაზღვრა 29-ე მუხლით და თითქმის სრულად აისახა ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული ეკოლოგიური დემოკრატიის პრინციპები: „1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით. 2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით“<sup>15</sup>.

კონსტიტუციის 29-ე მუხლი შეიცავს შემდეგ იურიდიული შინაარსის ელემენტებს:

- ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება;
- ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის უფლება;
- საჯარო სივრცით სარგებლობის უფლება;

<sup>14</sup> ავტორთა კოლექტივი, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, ტომი 3, თბილისი, 2016, გვ. 312 <http://lawlibrary.info/ge/books/giz2016-ge-handbook-legal-bases-public-administration.pdf>

<sup>15</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 29-ე მუხლი <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

- გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის დროულად მიღების უფლება;
- გარემოს დაცვაზე ზრუნვის უფლება;
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება;
- გარემოს დაცვა ახლანდელი თაობის ინტერესების გათვალისწინებით;
- გარემოს დაცვა მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;
- ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა ახლანდელი თაობის ინტერესების გათვალისწინებით;
- ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

ზემოთ განუხილველად დატოვებულ და ახლად შემოსულ ელემენტებზე საუბარი იქნება ნაშრომის მომდევნო თავებში.

**2.2. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია**

1998 წელს დანიის ქალაქ ორჰუსში ეკოლოგიური დემოკრატიის სფეროში მიღებულ იქნა რევილუციური დოკუმენტი „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია“ (რომელსაც გრძელი სახელწოდების მარტივად დასახელებისათვის მიღების ადგილის მიხედვით ორჰუსის კონვენციას უწოდებენ). გაეროს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა კონვენცია დაახასიათა როგორც „ყველაზე ამბიციური დოკუმენტი ეკოლოგიურ დემოკრატიაში, რომელიც ოდესმე განხორციელებულა გაეროში“.<sup>16</sup> ამ კონვენციის მნიშვნელოვანი ბუნება იმითაც დასტურდება, რომ უამრავი საერთაშორისო ხელშეკრულებისაგან

<sup>16</sup> Экологическая демократия: 12 примеров практических действий, Киев, 2004, гв. 1. [http://eng.menr.gov.ua/docs/public-orhus/Aarhus\\_konv.pdf](http://eng.menr.gov.ua/docs/public-orhus/Aarhus_konv.pdf)

განსხვავებით არა ერთი, არამედ რამდენიმე მიმღები სუბიექტი გააჩნია. ესენია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭო, ევროპის ეკონომიკური კომისია, გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტი, მინისტრთა მეოთხე კონფერენცია – „გარემო ევროპისათვის“.

ორჰუსის კონვენცია წარმოადგენს უნიკალურ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტს. იგი ქმნის პირობებს საზოგადოების ჩართვისთვის დღეს და მომავალში გარემოს მდგომარეობის დაცვისა და გაუმჯობესების პროცესში. მოქალაქეების მიერ ინფორმაციის მიღების, მონაწილეობისა და სამართლიანობის ხელმისაწვდომობის უფლებების დამტკიცებით, რაც ხელს შეუწყობს უფრო მეტ ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას გარემოსდაცვით საკითხებში.

კონვენცია შეიძლება განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც გარემოს დაცვის მექანიზმი, არამედ დემოკრატიის განვითარების ინსტრუმენტი, როგორც სამთავრობო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების საშუალება:

სახელმწიფო ორგანოები ინფორმაციის მიწოდებით ხელს უწყობენ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უკეთეს მონაწილეობას. საზოგადოების მონაწილეობა სამთავრობო უწყებებს საშუალებას აძლევს მოიპოვონ მეტი ინფორმაცია და გაზარდონ შესაძლო გადაწყვეტილებების სპექტრი, რითაც თავიდან აიცილებენ იმ ეკოლოგიურ პრობლემებს, რომელთა გადასალახავადაც მომავალში შეიძლება დასჭირდეთ დიდი სახსრები. საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფს მთავრობის ქმედებებს და ამცირებს მთავრობისა და ბიზნესის განვითარების გეგმებთან წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას.

კონვენცია იძლევა იმ საერთაშორისო აქტებისა და პრინციპების ჩამონათვალს, რომელთაც მიიჩნევს ეკოლოგიური დემოკრატიის განვითარებისა და სამართლებრივი საფუძვლების წყაროდ. ესენია:

- ადამიანის გარემოს შესახებ სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველი პრინციპი;
- გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მეათე პრინციპი;
- 1982 წლის 28 ოქტომბრის 37/7 რეზოლუცია ბუნების მსოფლიო ქარტიის შესახებ;

- გაეროს გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის 45/94 რეზოლუცია ადამიანთა კეთილდღეობისათვის ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ;
- 1989 წლის 8 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში, მსოფლიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის პირველ ევროპულ კონფერენციაზე გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ მიღებული ევროპულ ქარტია „გარემო და ჯანმრთელობა“;
- 1995 წლის 25 ოქტომბერს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მინისტრების მესამე კონფერენციაზე „გარემო ევროპისათვის“ მიღებული მინისტრთა დეკლარაცია გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ECE-ს სახელმძღვანელო პრინციპები;
- 1991 წლის 25 თებერვალს ფინეთის ქალაქ ესპოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენციაზე ტრანსსაზღვრო კონტექსტში გაკეთებული შესაბამისი დებულება;
- 1992 წლის 17 მარტს ჰელსინკში სამრეწველო ავარიების ტრანსსაზღვრო ზეგავლენის კონვენციის და ტრანსსაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებისა და დაცვის კონვენციებზე გაკეთებული შესაბამისი დებულებები, ასევე სხვა რეგიონული კონვენციები.

კონვენციის მიხედვით ადამიანის კეთილდღეობისათვის და მისი უფლებების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების დაცვისათვის უმნიშვნელოვანესია გარემოს ადეკვატური დაცვა. ამ უფლებების დასაცავად და მოვალეობების შესასრულებლად კონვენციამ ჩამოაყალიბა სამი პრინციპი, რომელთა მიხედვით მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ გარემოსდაცვითი სფეროში მართლმსაჯულებაზე და ამ უფლებების პრაქტიკულად რეალიზებისას საჭირო დახმარების მიღების შესაძლებლობაც.

ეკოლოგიურ საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მის შესაბამისად გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის პრო-



ცესის სრულყოფა კონვენციის პრინციპების თანახმად ამაღლებს თვით ამ გადაწყვეტილებების და მათი განხორციელების ხარისხს, აგრეთვე ხელს უწყობს საზოგადოების გარემოსდაცვით საკითხებში გათვითცნობიერებას, საშუალებას აძლევს მოსახლეობას გამოხატოს უკმაყოფილება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო ხელისუფლებას აკისრებს ვალდებულებას გაითვალისწინოს მათი ინტერესები.

ეკოლოგიურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესის კონტროლირებადობამ და საჯაროობამ უნდა გააძლიეროს გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ხელისუფლების ყველა შტოს სტრუქტურების საქმიანობის საჯაროობისათვის, სასურველია, საკანონმდებლო ორგანოებმა უზრუნველყონ კონვენციის პრინციპების განხორციელების მექანიზმები. საზოგადოება გათვითცნობიერებული უნდა იყოს გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თავისი მონაწილეობის მიღების პროცედურაში. მოსახლეობას ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასთან დაკავშირებულ მასალებზე და უნდა იცოდეს მათი გამოყენება. ცალკეულ მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ასევე კერძო სექტორსაც შეუძლიათ შეასრულონ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი გარემოს დაცვის სფეროში.

კონვენციის პრინციპების თანახმად აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან ეკოლოგიურ სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების გარემოსდაცვითი მოსაზრებების სრული გათვალისწინება და აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ორგანოების მიერ ზუსტი, ამომწურავი და უახლესი ეკოლოგიური ინფორმაციის ფლობა. ხელისუფლების სტრუქტურები გარემოსდაცვით ინფორმაციას უნდა ფლობდნენ საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. საზოგადოებისა და ორგანიზაციების კანონიერი ინტერესების დაცვისათვის აუცილებელია მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ეფექტური სასამართლო მექანიზმები.

ორჰუსის კონვენციითა და მისი ოქმით გათვალისწინებული პრინციპები დაინტერესებული მხარეებისთვის საწყისი წერტილი და ინსპირაციის წყარო გახდა კლიმატის ცვლილების პროცესებში, სავაჭრო მოლაპარაკებებსა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პოლიტიკაში.

კონვენციით განსაზღვრულმა ჩარჩომ, აგრეთვე დამაბინძურებელ ნივთიერებების შესახებ ინფორმაციამ, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია იმპლემენტაციის შედეგად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების და კონსენსუსის პროცესში როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზეც.

კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რიგითი მომხმარებლისათვის პროდუქტებზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება, რათა მას მიეცეს საშუალება გააკეთოს დასაბუთებული არჩევანი საკუთარი ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით. გარემოში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების წინასწარგანზრახულ მიმოქცევასთან დაკავშირებით საზოგადოების შემფოთების გათვალისწინებით, აუცილებელია ამ გარემოსდაცვით სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების უფრო აქტიური მონაწილეობა და უფრო მეტი გამჭვირვალობა.

ორჰუსის კონვენციის მიზნების, პრინციპების და ძირითადი დებულებების რეალიზება თითოეულ სახელმწიფოში და მათ შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებში იძლევა იმის წინაპირობას, რომ ეკოლოგიური დემოკრატია პრაქტიკულად იქნეს განხორციელებული. აუცილებელ საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა ზომებს, აგრეთვე ღონისძიებებს, მათ შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის დებულებების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას, აგრეთვე განახორციელებს მართებულ ღონისძიებებს ამ დებულებების რეალიზებისათვის მკაფიო საჯარო და თანამიმდევრული სტრუქტურის შესაქმნელად.

ორჰუსის კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი ეკისრება სახელმწიფო ორგანოებს. ეს არის საჯარო მოხელეები, რომლებიც ვალდებულნი არიან შეიმუშაონ კონვენციის განხორციელების მექანიზმები, ინფორმაციის გაცემის სპეციფიკური პროცედურები, უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აგრეთვე ეროვნული მართლმსაჯულების ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ორჰუსის კონვენციამ ასევე განმარტა ეკოლოგიური დემოკრატიის სფეროში აქტიურად გამოყენებადი რამდენიმე ტერმინი:

„ხელისუფლების ორგანოები“ ნიშნავს: ა) ხელისუფლებას ეროვნულ, რეგიონულ და სხვა დონეებზე; ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებენ სახელმწიფო ადმინისტრაციულ ფუნქციებს, გარემოსთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებების, მომსახურების და ქმედებების ჩათვლით; გ) ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც ასრულებს სახელმწიფო ვალდებულებებს ან ფუნქციებს, ან გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ზემოთ ა) და ბ) ქვეპარაგრაფებში განსაზღვრული ორგანოების ან პირების კონტროლქვეშ ეწევა საზოგადოებრივ მომსახურებას; დ) ... ეკონომიკური ინტეგრაციის ნებისმიერ რეგიონულ ორგანიზაციას, რომელიც არის წინამდებარე კონვენციის მხარე. ეს განსაზღვრება არ გულისხმობს ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც მოქმედებენ სასამართლო ან საკანონმდებლო სტატუსით.

„საზოგადოება“ ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის და ქმედებების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს.

„დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვასა და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან როგორც დაინტერესებული სუბიექტები.<sup>17</sup>

### 2.3. ბუდვას დეკლარაცია

#### „ეკოლოგიური დემოკრატია ჩვენი მდგრადი მომავლისთვის“

<sup>17</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-2 მუხლი

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

პირველი საერთაშორისო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც დაფიქსირდა სიტყვათა შეთანხმება „ეკოლოგიური დემოკრატია“, იყო 2017 წლის 14 სექტემბერს მონტენეგროს ქალაქ ბუდაში გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ორჰუსის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის მონაწილეთა ჩართულობით მიღებული დეკლარაცია „ეკოლოგიური დემოკრატია ჩვენი მდგრადი მომავლისთვის“ (ე. წ. ბუდვას დეკლარაცია),<sup>18</sup> რომელიც ფაქტიურად, არის ორჰუსის კონვენციის განხორციელებისათვის ხელშემწყობი ინსტრუმენტული დებულებების ერთობლიობა.

მიხედვად იმისა, რომ ორჰუსის კონვენციამ შექმნა არსებითი წინაპირობები დღევანდელი და მომავალი თაობების მდგრადი მომავლისთვის, მნიშვნელოვანი ნორმატიული როლი შეასრულა და ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თემების, აკადემიური წრეებისა და მარგინალური ჯგუფების მონაწილეობით, ასევე ორჰუსის ცენტრებმა დაამკვიდრეს მნიშვნელოვანი ე. წ. „ხიდები“ სამთავრობო ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის კონვენციის მონაწილე ქვეყნებშიც, ბუდვას დეკლარაციის თანახმად ეკოლოგიური დემოკრატიის განვითარება იზღუდება ადამიანის სხვა უფლებების რეალიზების ხარჯზე (მაგალითად, ტერორიზმთან, რადიკალიზმთან და ა. შ. ბრძოლისას). განსაკუთრებით კი თავი იჩინა მსოფლიოში გარემოსდაცვითი აქტივისტების შევიწროების, ყაჩაღობის და მკვლევლობების ზრდის ფაქტებმა.

დეკლარაციაში ხაზი გაესვა ვალდებულებას გარემოსდამცველთა და მამხილებელთა უფლებების დასაცავად, როგორც გარემოსდაცვითი დემოკრატიის მამოძრავებელ ძალას. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარემოსდაცვითი აქტივისტების, მამხილებლების და არასამთავრობო ორგანიზაციების ადეკვატურად დაცვა, რათა მათ შეძლონ თავიანთი უფლებების განხორციელება ორჰუსის კონვენციით ყოველგვარი საფრთხის წინაშე.

---

<sup>18</sup> ბუდვას დეკლარაცია „ეკოლოგიური დემოკრატია ჩვენი მდგრადი მომავლისთვის“ [https://unece.org/fileadmin/DAM/env/pp/mop6/HLS/ECE\\_MP.PP\\_2017\\_16\\_Add.1-ECE\\_MP.PRTR\\_2017\\_2\\_Add.1\\_R.pdf](https://unece.org/fileadmin/DAM/env/pp/mop6/HLS/ECE_MP.PP_2017_16_Add.1-ECE_MP.PRTR_2017_2_Add.1_R.pdf)

ბუდვას დეკლარაციის მიხედვით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ზრდის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, იწვევს გადაწყვეტილების მიღებას უფრო მეტი პასუხისმგებლობის შეგრძნებითა და მხარდაჭერით და საბოლოოდ ხელს უწყობს კონფლიქტების შემცირებას და სტაბილურობის გაზრდას. შესაბამისად, გაჟღერდა ინიციატივა, რათა ხელისუფლებებმა მიიღონ ზომები მამხილებლის უფლებების დასაცავად და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებების მიღებისას გამოხატვის თავისუფლების სათანადო დაცვისა და ხალხის უსაფრთხო მონაწილეობის შესახებ.

ორჰუსის კონვენციითა და მანამდე არსებული სხვა აქტებით გათვალისწინებული ვერცერთი ცალკეული აქტორი სათანადოდ ვერ უძკლავდება ეკოლოგიურ გამოწვევებს. სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების და სხვა დაინტერესებული მხარეების ეფექტური ჩართულობა მნიშვნელოვნად აძლიერებს და ავსებს მთავრობის შესაძლებლობებს ამ გამოწვევების მოგვარებაში. ეს დაინტერესებული მხარეები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთავრობების პასუხისმგებლობის შენარჩუნებაში. ამიტომ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი აუცილებელია. გარდა ამისა, ყველა არსებული ინსტრუმენტი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული პარტნიორობის წახალისებისა და ყველა დაინტერესებული მხარისგან აუცილებელი ქმედებების მობილიზებისთვის, ინოვაციური სამეცნიერო საზოგადოების, კერძო სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩათვლით.

დეკლარაციის მიხედვით გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობისა და სამართლიანობის ხელმისაწვდომობის შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს მკაფიო ჩარჩო, რომელიც დაეხმარება ქვეყნებს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, იქნება ეს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ, დაბინძურების პრევენცია და შემცირება, ან უთანასწორობის შემცირება. უნდა შემცირდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სამართლიანობის ხელმისაწვდომობის ბარიერები.

## 2.4. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

2014 წელს საქართველოს და ევროკავშირს შორის დაიდო ასოცირების შეთანხმება, რომელიც მოსამზადებელი ეტაპია ჩვენი ქვეყნისთვის ევროპულ გაერთიანებაში გასაწევრიანებლად. შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისს და მოხდა საქართველოს კანონმდებლობის კონვერგენცია.

ასოცირების შეთანხმების 302-ე მუხლმა მთელი რიგი ვალდებულებები დააკისრა საქართველოს გარემოს დაცვის სფეროში. „1. გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტული საკითხები, როგორცაა სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, განათლება და ტრენინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბება, ინსპექტირება და კანონდარსრულება, გარემოსდაცვითი ვალდებულებები, გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლა, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ეფექტური ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურების არსებობა; 2. ჰაერის ხარისხი; 3. წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის, წყალდიდობის რისკების მართვა, წყლის რესურსების სიმცირე და გვალვა; 4. ნარჩენების მართვა; 5. ბუნების დაცვა, მათ შორის, ტყის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა; 6. საწარმოების მიერ გარემოს დაბინძურება; 7. ქიმიური ნივთიერებების მართვა“.<sup>19</sup>

შეთანხმების ცალკე თავი ეძღვნება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ სფეროში მხარეებს შორის თანამშრომლობას. უფრო კონკრეტულად, ასოცირების შეთანხმების დანართში ჩამოთვლილია ევროკავშირის სამართლებრივი აქტებისა და საერთაშორისო ინსტრუმენტების სია, რომელთაგან უნდა მოხდეს დაახლოება: „2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/4/EC დირექტივა საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ. გამოი-

---

<sup>19</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მუხლი 302 <https://www.matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0>

ყენება ამ დირექტივის შემდეგი დებულებები: ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრა; პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და შესაბამისი გამონაკლისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, (მუხლი 3 და 4); სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა, (მუხლი 3(1)); პროცედურების შემუშავება იმ გადაწყვეტილებების განსახილველად, რომელთა საფუძველზეც არ მოხდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა ან მოხდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილობრივი გაცემა (მუხლი 6); საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელების სისტემის დანერგვა (მუხლი 7)<sup>20</sup>

## 2.5. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

1996 წლის 10 დეკემბერს (ორჰუსის კონვენციამდე) მიღებული საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ განსაზღვრავს გარემოს დაცვის 12 ძირითად პრინციპს, რომელთაგან ორი შინაარსობრივად იმეორებს ორჰუსის კონვენციით დადგენილ ეკოლოგიური დემოკრატიის პრინციპებს: „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი“ – უზრუნველყოფილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა; „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი“ – ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებრიობისათვის.<sup>21</sup> გარდა ამისა, აღნიშნულმა კანონმა ასევე განსაზღვრა გარემოს დაცვის ინფორმაციული უზრუნველყოფა და ცალკე თავი დაეთმო გარემოს დაცვის საფუძვლების სწავლებასა და ამ სფეროში განათლების მნიშვნელობას.

შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობიდან აღსანიშნავია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (რომელზეც საუბარია ნაშრომის მეოთხე თავში) და ეროვნული

<sup>20</sup> იქვე, დანართი XXVI

<sup>21</sup> საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30>

მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ. ასევე სხვა უამრავი სამართლებრივი აქტები, რომლებშიც გარკვეულწილად ფიქსირდება ეკოლოგიური დემოკრატიის პრინციპები.

უფლებამოსილების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობაში არ გვხვდება ეკოლოგიური დემოკრატიის საკითხებზე რაიმე სახის დებულებები.



## თავი მესამე

### გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ორჰუსის კონვენციის თანახმად „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება; ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ... გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას; გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება; მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ... მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები“.<sup>22</sup>

გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტების არქონა ეროვნულ კანონმდებლობაში ქმნის გარკვეულ სირთულეს. კერძოდ, ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, რომელი დაწესებულება რა საჯარო გარემოსდაცვით ინფორმაციას უნდა ფლობდეს, აგროვებდეს და ავრცელებდეს. ამგვარი მოთხოვნები გაფანტულია სხვადასხვა კანონსა და კანონქვემდებარე აქტში. რეალურად კი,

<sup>22</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-2 მუხლი

<https://www.matsne.gov.ka/document/view/1210443?publication=0>

გარემოსდაცვით ინფორმაციას შესაძლებელია ფლობდეს რამოდენიმე საჯარო უწყება.<sup>23</sup>

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ეფექტურად ხელმისაწვდომობა კრიტიკულია მდგრადი განვითარების მთელი რიგი მიზნების წარმატებით განხორციელებაში და მას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მონაცემთა რევოლუციასთან, ელექტრონული მმართველობის გარემოს განზომილებასთან და ღია მონაცემთა ინიციატივებთან დაკავშირებულ მუშაობაში. ეკოლოგიური განათლება დიდ შესაძლებლობებს ქმნის მდგრადი განვითარების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით. უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეთ ინფორმაცია სამომავლო შედეგების შესახებ. ეს ასევე მნიშვნელოვანი წინაპირობაა საზოგადოების ეფექტური მონაწილეობისთვის და მას შეუძლია დაეხმაროს განსაკუთრებით ღარიბი და დაუცველ სიტუაციაში მყოფი პირების სიცოცხლის გადარჩენაში, საშიში ნივთიერებებით, კლიმატით გამოწვეული ექსტრემალური მოვლენებით და სხვა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შოკებით ზემოქმედების შემცირებით.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ეხება ორჰუსის კონვენციის მე-5 მუხლი. „1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ... ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილონ ეკოლოგიურ ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ... მიაწოდოს აგრეთვე ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას: ა) რაიმე ინტერესის განცხადების გარეშე; ბ) მოთხოვნილი ფორმით, იმ გამონაკლისით, თუ: I) ხელისუფლების ორგანოს გააჩნია საფუძველი მიაწოდოს ის სხვა ფორმით. ასეთ შემთხვევაში მითითებული უნდა იქნეს მიზეზები, რომელიც გაამართლებს ინფორმაციის სხვა ფორმით გაცემას. II) ეს ინფორმაცია უკვე არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის სხვა ფორმით. 2. ... გარემოსდაცვითი ინფორმაცია მოწოდებული უნდა იქნეს იქნება მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, იმ გამონაკლისის გარდა, თუ ინფორმაციის მოცულობა და სირთულე ამართლებს ამ პერიოდის ორ თვემდე გაზრდას. მომთხოვნ

<sup>23</sup> ნინო ანთაძე, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია, თბილისი, 2013, გვ. 14

[http://www.library.court.ge/upload/Guide\\_2013\\_KG\\_FINAL.pdf](http://www.library.court.ge/upload/Guide_2013_KG_FINAL.pdf)

მხარეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი გადავადებისა და ამ გადავადების გამამართლებელი მიზეზების შესახებ. 3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა უარყოფილ იქნეს, თუ: ა) ხელისუფლების ორგანო, რომლის მისამართით გაიგზავნა მოთხოვნა, არ ფლობს მოთხოვნილ გარემოსდაცვით ინფორმაციას; ბ) წარდგენილი მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა ან არის შედგენილი ზედმეტად ზოგადი ფორმით; ან გ) მოთხოვნა ეხება მასალას, რომელიც მომზადების ეტაპზეა ან ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმოწერის სტადიაშია, როდესაც ასეთი გამონაკლისი გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ანდა დამკვიდრებულია არსებული პრაქტიკით და მასში გათვალისწინებულია საზოგადოების დაინტერესება, მიიღოს ასეთი ინფორმაცია. 4. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა შეიძლება უარყოფილ იქნეს, თუ მისი განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს: ა) ხელისუფლების ორგანოების სამუშაო პროცედურების კონფიდენციალურობაზე, თუ ეს კონფიდენციალურობა ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული; ბ) საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეროვნულ თავდაცვაზე ან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე; გ) სამართალწარმოებაზე, ადამიანის შესაძლებლობაზე, მიიღოს ობიექტური სასამართლო გარჩევა ან ხელისუფლების ორგანოს შესაძლებლობაზე, ჩაატაროს სისხლის სამართლის ან დისციპლინური ხასიათის გამოძიება; დ) სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როდესაც კანონიერი ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით ასეთი კონფიდენციალურობა დაცულია კანონით. ასეთი პირობების ჩარჩოებში ინფორმაცია გამოფრქვევის შესახებ, რომელიც გარემოს დაცვასთან არის კავშირში უნდა გაიხსნას; ე) ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე; ვ) პირადი მონაცემების და/ ან არქივების ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, რომელიც ეხება ფიზიკურ პირს და ამ პირისაგან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად არ არის თანხმობა ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების თაობაზე; ზ) მესამე მხარის ინტერესებზე, რომელმაც მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია, თუ მას არა აქვს ან არ შეიძლება დაეკისროს იურიდიული მოვალეობა გასცეს ამგვარი ინფორმაცია, ან როდესაც ეს მხარე არ იძლევა თანხმობას ამ მასალების გამოქვეყნებაზე; თ) გარემოზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, მაგალითად, იშვიათი სახეობების გამრავლების ადგილები. უარის თქმის

ზემოაღნიშნული მიზეზები უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოების მიერ ამ ინფორმაციის მიღების უფლება, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნეს რამდენად ეხება მოთხოვნილი ინფორმაცია გარემოში გაფრქვევას. 1. თუ ხელისუფლების ორგანოს არ გააჩნია მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ეს ორგანო მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეატყობინებს მომთხოვნ მხარეს ხელისუფლების იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც, მისი აზრით, უნდა გააჩნდეს ასეთი ინფორმაცია ან თვითონ გადასცემს ამ მოთხოვნას ასეთ ორგანოს და შესაბამისი ფორმით შეატყობინებს მომთხოვნ მხარეს. 2. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ... არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, გამოყოს დანარჩენი ინფორმაციისაგან ისე, რომ არ დაირღვეს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ხოლო ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყონ მოთხოვნილი ეკოლოგიური ინფორმაციის დანარჩენი ნაწილის მოწოდება. 3. თუ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა წარდგენილი იყო წერილობითი სახით, ან თუ განმცხადებლის თხოვნაა მიიღოს პასუხი წერილობით, შესაბამისად, უარიც წარედგინება წერილობითი სახით. მასში მიეთითება უარის მიზეზები და მომთხოვნ მხარეს მიეწოდება ინფორმაცია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის შესახებ ... უარი წარდგენილი უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად და არაუგვიანეს ერთი თვისა, იმ გამონაკლისით, როცა ინფორმაციის მოძიების სირთულე ამართლებს ამ პერიოდის გაზრდას მოთხოვნის წარდგინებიდან ორი თვის ვადამდე. მოთხოვნის წარმდგენელი პირი ინფორმირებული უნდა იყოს ვადის გაზრდისა და მისი მიზეზების თაობაზე. 4. თითოეულ მხარეს შეუძლია ინფორმაციის მიწოდებისათვის ხელისუფლების ორგანოებს მისცეს გადასახადის დაწესების უფლება, თუმცა ეს გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ზომიერების ფარგლებს. ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც აპირებენ ასეთი გადასახადების დაწესებას, ვალდებული არიან გააცნონ დამკვეთს გადასახადის ტარიფები იმ პირობების და გარემოების მითითებით, რა პირობებშიც ეს გადასახადები შეიძლება იქნეს დაწესებული ან გაუქმებული.<sup>24</sup>

---

<sup>24</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-4 მუხლი

ასევე ორჰუსის კონვენციის მე-5 მუხლი ეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვებას და გავრცელებას: „1. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ: ა) ხელისუფლების ორგანოები ფლობდნენ და ანახლებდნენ მათ ფუნქციებთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით ინფორმაციას; ბ) შეიქმნას სავალდებულო სისტემები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ორგანოებისათვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება იმ მიმდინარე ან დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, რომელმაც საგრძნობი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს გარემოზე; გ) გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს მათ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას მიიღოს ზომები გამომდინარე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად. 2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში ხელისუფლების ორგანოების მიერ გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების პროცედურა გახდეს გამჭვირვალე და ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი, მათ შორის: ა) უზრუნველყოს საზოგადოებისათვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება, თუ რა სახის და მოცულობის გარემოსდაცვით ინფორმაციას ფლობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო და იმ ძირითადი პირობების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთი ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობას, მასზე ხელმისაწვდომობას და მისი მიღების პროცედურას; ბ) ისეთი პრაქტიკული ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება, როგორცაა: I) საზოგადოებისათვის სიების, რეესტრების და არქივების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; II) ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მოთხოვნა წინამდებარე კონვენციის შესაბამისად ხელი შეუწყოს საზოგადოებას ინფორმაციის მოძიებაში; და III) საკონტაქტო ადგილების განსაზღვრა; და გ) ... სიებში, რეესტრებში ან არქივებში არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 3. ყოველი მხარე უზრუნველყოფს ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოცულობის თანდათანობით ზრდას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებას

ინფორმაციის უფრო ადვილად მოპოვებაში ტელეკომუნიკაციური ქსელების მეშვეობით. ამ ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: ა) ... გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებას; ბ) გარემოს დაცვის ან ამასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ტექსტებს; გ) შესაბამისად, გარემოსთან ან გარემოსდაცვით შეთანხმებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, გეგმების ან პროგრამების დოკუმენტაციას; და დ) სხვა ინფორმაციას იმდენად, რამდენადაც ამ ფორმით ამგვარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გააადვილებს ... ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ინფორმაცია უკვე არსებობს ელექტრონული ფორმით. 4. თითოეული მხარე რეგულარულად, არაუმეტეს 3-4 წლის ინტერვალისა, აქვეყნებს და ავრცელებს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ, გარემოს მდგომარეობის ხარისხისა და გარემოზე დატვირთვის მონაცემების ჩათვლით. 5. თითოეული მხარე საკუთარი კანონმდებლობის ჩარჩოებში მიიღებს ზომებს, რათა გაავრცელოს: ა) საკანონმდებლო აქტები და სადირექტივო დოკუმენტები, როგორცაა დოკუმენტები სტრატეგიის, პოლიტიკის შესახებ, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პროგრამები და სამოქმედო გეგმები, აგრეთვე სხვადასხვა სამთავრობო დონეებზე მომზადებული მოხსენებები მათ განხორციელებაზე; ბ) გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები და ხელშეკრულებები; და გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები, მიზანშეწონილობის მიხედვით. 6. თითოეული მხარე მოუწოდებს მწარმოებლებს, რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოზე, შესაბამისად, ნებაყოფლობითი ეკომარკირების, ეკოლოგიური აუდიტის ან სხვა საშუალებების მეშვეობით რეგულარულად მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია მათი საქმიანობის და პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების შესახებ. 7. თითოეული მხარე: ა) აქვეყნებს ფაქტობრივ ინფორმაციას და ფაქტების ანალიზს, რასაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში; ბ) აქვეყნებს ან სხვა ფორმით ხდის ხელმისაწვდომს განმარტებით მასალას საზოგადოებასთან საკუთარი კონტაქტების შესახებ იმ საკითხებზე, რომელიც შედის წინამდებარე კონვენციის მოქმედებათა სფეროში; და გ) შესაბამისი ფორმით წარადგენს ინფორმაციას სხვადასხვა დონის სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი

სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ან მათ მიერ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში საზოგადოებრივი მომსახურების პირობების შესახებ. 8. თითოეული მხარე შეიმუშავებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ისეთი ფორმით, რომ მომხმარებელმა შესძლოს საფუძვლიანი არჩევანი გააკეთოს გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით. 9. თითოეული მხარე მიიღებს ზომებს თანდათან განავრცოს სტრუქტურირებული კომპიუტერიზებული და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგენილია სტანდარტიზებული მოხსენებებისაგან, რომლებიც შეთანხმებულია დაბინძურების კადასტრების ან რეგისტრების საერო ეროვნულ სისტემასთან და შესაბამის შემთხვევაში ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესებს. ასეთი სისტემა შესაძლოა მოიცავდეს მონაცემებს გარკვეული სახეობის ქმედებების შედეგად რიგი ნივთიერებების და პროდუქტების გამოყენების, გამოყოფისა და გადატანის შესახებ. მათ შორის, გარემოს სხვადასხვა სფეროში წყლის, ენერჯის და რესურსების გამოყენების, აგრეთვე გადამამუშავებელი ობიექტების და გადასაყრელი ადგილების შიგნით და გარეთ.<sup>25</sup>

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაზე საინტერესო მსჯელობა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს: „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოზე უფლების განსაკუთრებულ ელემენტს“.<sup>26</sup> „კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი წარმოადგენს პირის მიერ ინფორმაციის მიღების უფლების სპეციალურ შემთხვევას. იგი წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს გარემოს მდგომარეობის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია. ამასთანავე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

---

<sup>25</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-5 მუხლი

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

<sup>26</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19 <https://www.matsne.gov.ge/document/view/1901109?publication=0>

დამდგენი კონსტიტუციური უფლებებისაგან განსხვავებით, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მუდმივად აწარმოოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა. ნათელია, რომ ეს ორი ვალდებულება ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული, რადგან ამ ტიპის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების გარეშე, შეუძლებელი იქნება ადამიანის უფლების ეფექტური რეალიზება“.<sup>27</sup> „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით. შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის შესახებ შესაგროვებელი ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს იმ შინაარსობრივ მინიმუმს, რაც აუცილებელია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის რეალიზაციისთვის. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფარგლებში სახელმწიფო ვალდებულია, შეაგროვოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება გარემოს მდგომარეობას და იმ ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მასზე. პირველ რიგში, ასეთად უნდა იქნეს განხილული ინფორმაცია გარემოს შემადგენელი ელემენტების - ჰაერის, ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის, მიწის, ლანდშაფტისა და ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობის, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და მისი კომპონენტების, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და ამ ელემენტების ურთიერთქმედების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია სახელმწიფო პოლიტიკის, გეგმების, პროგრამებისა და კანონმდებლობის შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ან შესაძლოა მოახდინონ გარემოს მდგომარეობაზე.“<sup>28</sup>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური

---

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17 <https://www.matsne.gov.ge/document/view/1901109?publication=0>

<sup>28</sup> იქვე, II-20.



და გარემოს ხარისხობრივი ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებას, შესაბამისი ინფორმაციული მასალის მომზადებასა და გავრცელებას. ასევე, სააგენტოს მიერ ხდება საქართველოს ტერიტორიაზე მდინარეთა აუზებსა და წყალსატევებში, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოდინამიკური პროცესების და გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება, წარმოებს ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოლოგიური, შავი ზღვის ჰიდრო და ლითოდინამიკური, გარემოს (ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და შავი ზღვის წყლები, ნიადაგები) დაბინძურების, ბუნებრივი რადიაციული ფონის და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. მონაცემები იკრიბება და ვრცელდება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე დადგენილი წესით. აღნიშნული საქმიანობის უმთავრესი მიზანია საზოგადოებისათვის გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მექანიზმია ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ მოხსენებას საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით, 3 წელიწადში ერთხელ ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით დადგენილი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტური რეალიზაცია.

„გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის №337 დადგენილების თანახმად, ეროვნული მოხსენება მოიცავს ინფორმაციას გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, ეროვნულ მოხსენებაში განხილულ უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, კლიმატის ცვლილების, ზედაპირული მტკნარი წყლების და მიწისქვეშა წყლების მდგომარეობა. მოხსენება ასევე ვრცელდება გარემოზე მოქმედ ფაქტორებზეც, როგორებიცაა: ეკონომიკურ-სოციალური ფაქტორები, ტრანსპორტი, მრეწველობა და ენერგეტიკა. მოხსენების საშუალებით საზოგადოებას

შესაძლებლობა აქვს, მიიღოს ინფორმაცია გარემოსდაცვითი პოლიტიკის, კვლევების, რეგულირებისა და კონტროლის საკითხებზე. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება წარმოადგენს ერთგვარ ინსტიტუტს, რომელიც გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ამასთან, ინფორმაციის შეგროვება სფეროების მიხედვით გადანაწილებულია ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოზე. ისინი ვალდებული არიან, კანონით დადგენილ ვადაში, მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც კოორდინირებას უწევს ინფორმაციის შეგროვებას და პასუხისმგებელია ეროვნული მოხსენების შედგენაზე. ამ სფეროში არსებული ნორმატიული ბაზის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოხსენების მიზნებისთვის ინფორმაციის შეგროვება ხდება გარემოს ელემენტების მდგომარეობის, გარემოზე მოქმედი ფაქტორებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ანალიზის საშუალებით.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, შეკითხვაზე - გამოვითხოვიათ და მივიღიათ გარემოსდაცვითი ხასიათის ინფორმაცია? რესპონდენტთა 4,8% პასუხობს, რომ გამოუთხოვია და მიუღია, 24,4%-მა არ იცოდა მსგავსი შესაძლებლობის შესახებ, 31,4%-ს გამოუთხოვია და არ მიუღია, ხოლო 39,4%-ს არ გამოუთხოვია (იხ. დანართი №2).**

აღსანიშნავია, რომ ნაშრომზე მუშაობის დაწყებისას გაგზავნილი იქნა წერილები საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამმართველოში. ამ უკანასკნელმა წერილი გადაამისამართა ცენტრალურ უწყებაში და საბოლოოდ, მოვიდა უარი ინფორმაციის მოწოდებაზე (იხ. დანართი №3).

## თავი მეოთხე

### საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის დაწერის მთავარ იდეას სწორედ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროცესში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჩართულობის კვლევა წარმოადგენდა, ვინაიდან ორჰუსის კონვენცია განსაკუთრებულად გამოყოფს საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობას საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და დანართში ამ საქმიანობათა საკმაოდ დიდ ჩამონათვალს იძლევა.

თუმცა, როგორც წინა თავში უკვე აღინიშნა, სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოვიდა უარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან შემდეგი შინაარსით: „გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აღნიშნული სახით ინფორმაციის დამუშავებას არ ახორციელებს“ (იხ. დანართი № 3).

სამწუხაროდ, ამ უარის შემდეგ შეიცვალა ნაშრომის სტრუქტურა და იძულების წესით ამოღებული იქნა თავი „ორჰუსის კონვენციის განხორციელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ და მეოთხე თავმა მოიცვა ძირითადად ორჰუსის კონვენციის მოთხოვნები და მისი შესაბამისი ნორმები ეროვნული კანონმდებლობიდან.

საზოგადოების ინტერესი ძირითადად ეხება მსხვილ პროექტებს. ადგილობრივ დონეზე აღსანიშნავია: საზოგადოების არასათანადო ორგანიზებულობა; ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი ინტერესი, გარემოსთან დაკავშირებული გარკვეული საკითხებისადმი ცნობიერების დაბალი დონე, რაც იწვევს საჯარო განხილვებში მონაწილეობის/ინტერესის ნაკლებობას; ინტერესი მხოლოდ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისადმი, რა დროსაც არის შემთხვევები, როდესაც საზოგადოებას უჭირს დეტალებში გარკვევა; ნდობის ნაკლებობა, გარკვეულ შემთხვევებში - არასათანადოდ/ არასწორად ინფორმირებული

საზოგადოება; საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციათა ნაკლებობა/სისუსტე მცირე დასახლებების მასშტაბით და სხვ.<sup>29</sup>

ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლი ეთმობა საზოგადოების მონაწილეობას საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: „2. დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები: ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება; ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი; გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე; დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით, თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული; I) პროცედურის განხორციელების დაწყება; II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი; III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი; IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად; V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი; VI) მითითება იმის შესახებ, თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი; და ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსაზღვრო პროცედურას. 3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ... იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის. 4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც

---

<sup>29</sup> ორჰუსის კონვენციის განხორციელების ეროვნული ანგარიშის ფორმატი IV/4 (ECE/MP.PP/2011/2/Add.1) გადაწყვეტილების შესაბამისად, გვ. 34 <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/41199>

ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. 5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წახალისოს პოტენციური მონაწილეები, განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ. 6. ყოველი მხარე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, ... რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჭლავნებაზე უარის თქმას. ასეთ ინფორმაციაში შევა ... ა) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების შეფასების ჩათვლით; ბ) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე; გ) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით; დ) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება; ე) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი; ვ) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს სახელმწიფო ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ... უნდა მიეწოდოს ინფორმაცია. 7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია. 8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს. 9. ყოველი მხარე ვალდებულია შესაბამისი პროცედურის მიხედვით დაუყოვნებლივ აცნობოს საზოგადოებას სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

ყველა მხარე ვალდებულია ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს, იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილებაა დაეყრდნო. 10. ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თუ სახელმწიფო ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს ... აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გაითვალისწინოს ... შესაბამისი ცვლილებები (mutatis mutandis). 11. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში შესაძლებლობის და მიზანშეწონილობის მიხედვით გამოიყენებს წინამდებარე მუხლის პირობებს იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც საკითხი ეხება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში წინასწარ მოფიქრებულად გაშვებისათვის ნების დართვას.<sup>30</sup>

ორჰუსის კონვენციის ამ მოთხოვნებმა ასახვა ჰპოვა ეროვნულ კანონმდებლობაში. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის IV თავი ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. კერძოდ, კოდექსის 30-ე მუხლის სათაურია - საზოგადოების მონაწილეობის უფლება. ხოლო 31-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოებს ავალებს: „ა) უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე როდესაც შესაძლებელია საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა ...; ბ) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის ... ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და აღნიშნულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის დროული, ეფექტიანი და ადეკვატური საშუალებებით მიწოდება; გ) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის ... დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა; დ) უზრუნველყოს საჯარო განხილვაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა; ე) უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების და საჯარო განხილ-

---

<sup>30</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-6 მუხლი

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

ვის შედეგების მხედველობაში მიღება, აგრეთვე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და ... ხელმისაწვდომობა“.<sup>31</sup>

ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლი კი ეხება საზოგადოების მონაწილეობას იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული: „ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია. ... მონაწილე საზოგადოება მოზიდული უნდა იყოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, წინამდებარე კონვენციის ამოცანების გათვალისწინებით. მხარეებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა საშუალება მისცენ საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში.“<sup>32</sup>

აღნიშნული მოთხოვნის იმპლემენტირებაც მოხდა ჩვენს კანონმდებლობაში, კერძოდ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 32-ე მუხლში: „1. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს: ა) ... შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდებზე და იმ საინფორმაციო დაფაზე, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის; ბ) გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გ) შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი); დ) ... საქმიანობის ან ...

<sup>31</sup> საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 31

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3691981/7/ge/pdf>

<sup>32</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-7 მუხლი

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების უახლოეს საჯარო ადგილას. 2. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას: ა) იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც, ... მიღებული უნდა იქნეს გადაწყვეტილება; ბ) გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ; გ) ... გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის საშუალებების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს იმ ადგილისა და მისამართის შესახებ, სადაც შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობა; დ) საჯარო განხილვაზე დასწრების/საჯარო განხილვაში მონაწილეობის და მასზე მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ; ე) გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შესახებ – ამ პროცედურის განხორციელების შემთხვევაში; ვ) ... ნებისმიერი სხვა მონაცემის შესახებ (მათ შორის, არატექნიკური რეზიუმეს ხელმისაწვდომობის შესახებ), რომელიც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიან მონაწილეობას. 3. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობის განთავსების დრო იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა“.<sup>33</sup>

ამ საკითხზე ორჰუსის კონვენციის კიდევ ერთი მუხლი გულისხმობს საზოგადოების მონაწილეობას აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში: „ყოველი მხარე ეცდება ხელი შეუწყოს საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას გარკვეულ საფეხურზე, სანამ არჩევანის გაკეთება დაშვებულია სახელმწიფო ორგანოების მიერ იმ სავალდებულო ძალის მქონე აღმასრულებელი დებულებების და სხვა საზოგადოებისათვის მისაღები მასალების მომზადების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე. ამისათვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: ა) ეფექტური მონაწილეობისათვის დადგენილი უნდა იქნეს საჭირო ვადები; ბ) საჭიროა გამოქვეყნდეს ან სხვაგვარად გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი კანონების პროექტები; და გ) საზოგადოებას უნდა მიეცეს შენიშვნების გაკეთების

<sup>33</sup> საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 32

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3691981/7/ge/pdf>



შესაძლებლობა უშუალოდ ან წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით. საზოგადოების მონაწილეობის შედეგი შემდგომისდაგვარად იქნება მიღებული მხედველობაში.<sup>34</sup>

საინტერესოა, რომ ამ მუხლმა უფრო ფართო ასახვა ჰპოვა შიდა კანონმდებლობაში. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 34-ე-36-ე მუხლებში ვკითხულობთ: „1. მოსაზრებები და შენიშვნები ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებელია წარედგინოს: ა) წერილობით; ბ) ზეპირად, საჯარო განხილვის დროს; გ) ელექტრონული საშუალებით, თუ ის იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების შესაძლებლობას. 2. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საჯარო განხილვის ჩატარების მიზნის, დროის, ადგილისა და წესის და საჭირო დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობის შესახებ. ... საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებისას საზოგადოებას უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს. 2<sup>1</sup>. ... ეპიდემიის/პანდემიის დროს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ... საჯარო განხილვა ტარდება დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის/განთავსებისთვის ... დადგენილი წესის დაცვით. 3. საჯარო განხილვის წესი ... დგინდება „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით“. „1. ... გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები და შესაბამისი გადაწყვეტილების წერილობით დასაბუთებაში სათანადოდ ასახოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები. 2. ... გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისი მიღების შემდეგ უზრუნველყოს საზოგადოებისთვის მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება ... შესაბამისი საშუალებების გამოყენებით“. „საზოგადოების ნებისმიერ წარმო-

---

<sup>34</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-8 მუხლი.

მადგენელს აქვს უფლება, ... გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ... მიღებული გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უზრუნველყო ... გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობა ან სხვაგვარად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები“.<sup>35</sup>

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკითხვით გაირკვა, რომ შეკითხვაზე - მივიღიათ მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში?, რესპონდენტთა მხოლოდ 7,9%-ს მიუღია, 24,8%-მა არ იცოდა მსგავსი შესაძლებლობის შესახებ, 32,4% პასუხობს, რომ ჰქონდა სურვილი და ვერ მიიღო მონაწილეობა, ხოლო მონაწილეობა არ მიუღია საერთოდ 34,9%-ს (იხ. დანართი № 4).**

ასევე შეკითხვაზე - თქვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი საკითხების დასაგეგმად ან უკვე დაგეგმილზე მოსახრების გამოსათქმელად გამართულ რაიმე ღონისძიება? გამოკითხულთა მხოლოდ 10,5% პასუხობს, რომ დაუგეგმავთ მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, 43,8%-ის პასუხია, რომ დაუგეგმავთ მოსახლეობის აზრის მოსმენით და არ გათვალისწინებით, ხოლო 45,7% ამბობს, რომ არასდროს უკითხავთ მოსახლეობისათვის აზრი (იხ. დანართი № 5).

ამ საკითხთან დაკავშირებით მორიგ შეკითხვაზე ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების განმტკიცებას ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართულობა/მონაწილეობა გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტაში?, ასე უპასუხეს: 67,9% - დიახ, 20,3% - არ ვიცი, 11,7% - არა (იხ. დანართი № 6).

<sup>35</sup> საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 34-36

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3691981/7/ge/pdf>

## თავი მეხუთე

### გარემოს დაცვის სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

#### 5.1. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტები

გარემოს დაცვის სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის განსაკუთრებული სტანდარტები არც საერთაშორისო და არც ეროვნულ დონეზე არ არსებობდა. დროთა განმავლობაში იჩინა თავი ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხებზე სათანადო ყურადღების დათმობის საჭიროებამ და ორჰუსის კონვენციის მიღების შემდეგ შემუშავდა გარკვეული ტიპის ნორმები, თუმცა პრაქტიკულ ასპექტში მათ რეალიზებას წინ ეღობებოდა უამრავი ბარიერი. საქართველოს რეალობაში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა არის, რადგან ორჰუსის კონვენციითა დადგენილი რეგულაციებისა და საერთაშორისო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სახელმძღვანელოდ გათვალისწინებით საქმეების განხილვას მაინც უშლიდა ხელს მოსამართლეთა სათანადო მოუმზადებლობა გარემოსდაცვით საკითხებში (მაგალითისათვის, შეგვიძლია პარალელი გავავლოთ, თუნდაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას სპეციალური სასწავლო პროფესიული კურსების გავლასთან და ა. შ.).

ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლი ეხება გარემოს დაცვის სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას: „1. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია, სასამართლოში ან დამოუკიდებელ და კანონიერად არჩეულ კომპეტენტურ ორგანოში უზრუნველყოს საკითხის გარჩევის შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ... არ დაკმაყოფილდა. მას უსამართლოდ ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა ან სხვაგვარად დაირღვა ზემოაღნიშნული ... პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ ამგვარ გადასინჯვას, მან უნდა უზრუნველყოს აგრეთვე ამ პირისათვის ხელმისაწვდომობა კანონით დადგენილი დაჩქარებული პროცედურებისადმი სახელმწიფო, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოების მხრიდან, გარდა სასამართლოებისა და ასეთი ხელახალი პროცედურა უნდა იყოს უფასო ან უფრო იაფი. ... საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება ეკისრება ინფორმაციის მქონე სახელმწიფო

ორგანოებს. მიზეზები მოცემულ უნდა იქნეს წერილობით მაშინ მაინც, როდესაც ინფორმაციის მისაწვდომობაზე უარია ნათქვამი ... 2. ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საზოგადოებრივი უწყებების წევრები: ა) რომლებიც საკმაოდ დაინტერესებულნი არიან, ან სხვაგვარად; ბ) უფლებები აქვთ შეზღუდული იქ, სადაც ამ მხარის ადმინისტრაციული პროცესუალური კანონი მოითხოვს ამას, როგორც წინაპირობას. მიეცით საშუალება გაიარონ გადახედვის პროცედურა სასამართლოს წინაშე, აიცილონ სუბსტანციური ან პროცესუალური სამართლიანობის ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუკი ქვეყნის კანონმდებლობით ამგვარადაა გათვალისწინებული ... დარღვევის გარეშე. ის, რაც შეიძლება ჩაითვალოს საკმაო ინტერესად ან უფლებების შელახვად, განსაზღვრული უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნისამებრ, ხოლო ფართო საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციით. ამ მიზნით ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ ... მოცემულ მოთხოვნებს, ჩაითვლება საკმარისად ... ჩაითვლება აგრეთვე, რომ ასეთი ორგანიზაციები სარგებლობენ უფლებით, განაცხადონ მათი უფლებების დარღვევის შესახებ. წინამდებარე ... დებულებები არ გამორიცხავს წინასწარი, განხილვის პროცედურის შესაძლებლობას ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. ეს პირობები გავლენას არ მოახდენს ადმინისტრაციული გარჩევის პროცესის ამოწურვის მოთხოვნაზე, იურიდიული გარჩევის პროცედურისაკენ ხელმეორედ ჩატარებამდე, თუკი ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ მოთხოვნას ითვალისწინებს. 3. მოკვლევის იმ პროცედურებთან ერთად და მათი დარღვევის გარეშე, რომლებიც ზემოთ მოყვანილ პირველ და მეორე პარაგრაფებშია განხილული, ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების წარმომადგენლების უფლება, გაეცნონ ადმინისტრაციულ და იურიდიულ პროცედურას, აცილება მისცენ კერძო პირებისა და სახელმწიფო ორგანოების ქმედებები და დაუდევრობები, რომლებიც გარემოს დაცვის ეროვნულ დებულებებს ეწინააღმდეგებიან, იქ, სადაც ეს აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, თუკი ასეთ კრიტერიუმებს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა. 4. ზემოთ მოყვანილი ... პროცედურები გვთავაზობენ შესატყვის და ეფექტურ ზომებს, რომლებშიც შედის დახმარება, როგორც შესაბამისი, კეთილსინდი-

სიერი, სამართლიანი, დროული და არა უკიდურესად ძვირადღირებული ღონისძიება. ... გადაწყვეტილებები გაიცემა და რეგისტრირდება წერილობითი სახით. სასამართლოთა და სხვა ორგანოთა გადაწყვეტილებები, თუკი ასეთი არსებობს, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. 5. წინამდებარე ... დებულებების ეფექტურობის ასამაღლებლად ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ადმინისტრაციული და იურიდიული მოკვლევის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაცია და განიხილოს შესატყვისი დახმარების მექანიზმების ჩამოყალიბების საკითხი, რათა მიღწეულ იქნეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ფინანსური და სხვა სახის დაბრკოლების გადალახვა ან შემცირება“.<sup>36</sup>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად დაინტერესებული მხარე, რომელსაც შეუძლია გაასაჩივროს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, არის მხოლოდ ის პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე „პირდაპირ ან უშუალო გავლენას ახდენს ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“. ორჰუსის კონვენციით კი „დაინტერესებული მხარე“ საზოგადოების იმ წევრებსაც გულისხმობს, რომელთა კანონიერ ინტერესზეც „შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს“ მიღებულმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა. რაც გამოიწვევს იმას, რომ საზოგადოების უფრო ფართო წრეს შეეძლება ისარგებლოს ამ გარემოსდაცვითი უფლებით და ჰქონდეს კონტროლის ბერკეტი მუნიციპალიტეტის დონეზე მიღებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული ორდონიანი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით აღსანიშნავია, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა სცდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას. მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოება შედის.<sup>37</sup>

---

<sup>36</sup> კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, მე-9 მუხლი

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

<sup>37</sup> ორჰუსის კონვენციის განხორციელების ეროვნული ანგარიშის ფორმატი IV/4 (ECE/MP.PP/2011/2/Add.1) გადაწყვეტილების შესაბამისად, გვ. 45. <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/41199>

## 5.2. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

გარემოსდაცვით საკითხებზე არაერთხელ იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებსა თუ განჩინებებში. აქ შემოთავაზებულია მათი ჩამონათვალი განხილვების გარეშე:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის №2/4/294 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ბესიკ ბრეგაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 29 ნოემბრის №1/21/351 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოთარ ლომთაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის №2/1/410 განჩინება საქმეზე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის №2/3/441 განჩინება საქმეზე საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის №1/3/511 განჩინება საქართველოს მწვანეთა პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;<sup>38</sup>

საერთო სასამართლოების სისტემაშიც არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. აღნიშნულ საკითხზე შეგიძლიათ იხილოთ: მაია ბითაძე, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე, თბილისი, გვ. 176-187. [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Maia\\_Bitadze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Maia_Bitadze.pdf)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ასეთია: კითხვაზე - ხელმისაწვდომია მართლმსაჯულება გარემოსდაცვით სფეროში?, რესპონდენტთა 54,3%-ის პასუხია - არ ვიცი, 31,7% პასუხობს - არა და მხოლოდ 14% პასუხობს დადებითად (იხ. დანართი № 7).

<sup>38</sup> ჩამონათვალი აღებულია წიგნიდან: ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.

### 5.3. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთი საქმე განიხილა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მიმართებით. ესენია:

ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (დიდი პალატა), № 36022/97, ECHR 2003-VIII;

მორენო გომესი ესპანეთის წინააღმდეგ, № 4143/02, ECHR 2004;

ტაქსინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, № 46117/99, ECHR 2004-X;

ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ, № 55723/00, ECHR 2005-IV;

ჯიაკომელი იტალიის წინააღმდეგ, № 59909/00, ECHR 2006-XII;

მილევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, № 43449/02 და № 21475/04, 25 ნოემბერი, 2010;

დუბეცკა და სხვები უკრაინის წინააღმდეგ, № 30499/03, 10 თებერვალი, 2011;

გრემკოვსკაია უკრაინის წინააღმდეგ, № 38182/03, 21 ივლისი, 2011;

ზამიტ მამეშელი და სხვები მალტის წინააღმდეგ, № 24202/10, 22 ნოემბერი, 2011;

ფლამენბაუმი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, №3675/04 და №23264/04, 13 დეკემბერი, 2012;

ბორი უნგრეთის წინააღმდეგ, № 50474/08, 18 ივნისი, 2013 წ.

მემიუკი უკრაინის წინააღმდეგ, № 42488/02, 4 სექტემბერი, 2014;

ბრანდუსი რუმინეთის წინააღმდეგ, № 39951/08, 27 იანვარი 2016;

ჯუღელი და სხვა საქართველოს წინააღმდეგ, № 38342/05, 13 ივლისი, 2017 <sup>39</sup>

---

<sup>39</sup> ჩამონათვალი აღებულია წიგნიდან: გიორგი გაბუნია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში - პრაქტიკის ანალიზი და შედარება ქართულ სამართალთან, თბილისი, 2017 <http://www.library.court.ge/upload/64852018-03-21.pdf>

## თავი მეექვსე

### მდგრადი განვითარება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით და ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობა

*გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციის შედეგების დოკუმენტის 88-ე პუნქტის სათაურია: „ჩვენ გვინდა მომავალი“.*

2016 წლის 8-10 ივნისის ბათუმში გაიმართა გარემოს ევროპული მინისტრების მერვე კონფერენცია, სადაც აღინიშნა, რომ ორჰუსის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას, მათ შორის ადგილობრივ თემებს, ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში მდგრადი განვითარების მიზნებით ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებით გათვალისწინებული ფართო სპექტრის საკითხებზე, როგორცაა ჯანმრთელობა; წყლის რესურსებისა და სანიტარული სისტემის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა; სუფთა ენერჯია; მწვანე ეკონომიკა; უთანასწორობის შემცირება; კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ღონისძიებები; ტურიზმი; და ურბანული დაგეგმვა. ეს აქტივობები აუცილებელია ზღვისპირა კურორტების, მაგისტრალების ან სამრეწველო ობიექტების მშენებლობისას საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

„გარემო ევროპისათვის“ მინისტრთა მერვე კონფერენციამ, რომელიც 2016 წელს ბათუმში ჩატარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მწვანე ეკონომიკის პოპულარიზაციის საქმეში. საქართველომ, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მხარი დაუჭირა „მწვანე ეკონომიკის განვითარების პანევროპულ სტრატეგიულ ჩარჩოს“ და აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება, ხელი შეუწყოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას და ამით წვლილი შეიტანოს „მდგრადი განვითარების მიზნების“ განხორციელებაში. „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ ფარგლებში საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა ოთხი ქმედების განხორციელებაზე, კერძოდ: (1) საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება; (2) განათლება მდგრადი განვითარებისათვის - სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება; (3) საქართველოში „მწვანე“ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პოპულარიზაცია და



რესურსეფექტური წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა; (4) მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული ნებაყოფლობითი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო კონკრეტული ქმედებები ასახულია საქართველოს „გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის“ შესაბამის თემატურ თავებში.<sup>40</sup>

მდგრადი განვითარების განმარტებას იძლევა საქართველოს კანონი წყლის შესახებ: „მდგრადი განვითარება – საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც გარემოს დაცვისა და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას–ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი“.<sup>41</sup>

ორჰუსის კონვენციის მიხედვით აუცილებელია გარემოს დაცვა, შენარჩუნება და გაუმჯობესება, აგრეთვე მდგრადი და გარემოს დაცვის თვალსაზრისით გამართლებული განვითარება. ასევე აუცილებელია მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების საკითხების უკეთ შემეცნებისათვის, და ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და მდგრად განვითარებაზე. კონვენციის ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და ელექტრონული და კომუნიკაციის სხვა უახლესი საშუალებების (მომავალი ფორმების) გამოყენების მნიშვნელოვანი როლი ამ სფეროში განსაკუთრებულია.

კონვენციამ მიზნად დაისახა ახლანდელი და მომავალი თაობების თითოეული ინდივიდის უფლების უზრუნველყოფა, იცხოვრონ საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში. ასევე საზოგადოებისათვის გარემოსდაც-

---

<sup>40</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №1124 განკარგულება საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ, გვ. 151

[http://gov.ge/files/495\\_65924\\_530178\\_1124.pdf](http://gov.ge/files/495_65924_530178_1124.pdf)

<sup>41</sup> საქართველოს კანონი წყლის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 18,

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/33448/26/ge/pdf>

ვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტია.

ბუდვას დეკლარაციაში აღინიშნა, რომ მსოფლიოს წინაშე დგას მრავალი ფუნდამენტური გამოწვევა, როგორც კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი რესურსების შემცირება, რაც მოითხოვს ღრმა გარდაქმნებს მდგრადი განვითარებისათვის, მათ შორის მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ფორმებით, დახურულ ეკონომიკაზე გადასვლას და გამონაბოლქვით დაბინძურების შემცირებას. ამ გამოწვევების დასაძლევად კი შემუშავდა ამბიციური საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორცაა 2030 დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის (დღის წესრიგი 2030), პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ და კიგალის შესწორება მონრეალის ოქმში იმ ნივთიერებების შესახებ, რომლებიც შლიან ოზონის შრეს.

მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად კომპანიებს, განსაკუთრებით დიდ და მრავალეროვან კომპანიებს, დაეკისრათ ვალდებულება დანერგონ მდგრადი პრაქტიკა და მათ ანგარიშებში ასახონ მდგრადი ინფორმაცია გამონაბოლქვებისა და წყლის გამოყენების, ენერჯის და სხვა. რესურსების შესახებ. შექმნან დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფის მონაცემების გადატანა ეფექტურ და მოსახერხებელ რეესტრებში, საზოგადოების შემდგომი ცნობიერების ამაღლების მიზნით და უზრუნველყონ, რომ მოსახლეობას ყველგან ჰქონდეს ციფრული წვდომა საშიში ნივთიერებების გამოყოფისა და ნარჩენების მოძრაობის შესახებ. ასევე პროდუქტებში ქიმიური ნივთიერებების საკითხის გადაწყვეტისა და მათი გარემოში გამოყოფის აუცილებლობისათვის საჭიროა გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ რეესტრის უზრუნველყოფა.

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება მოითხოვს მთავრობების, სამოქალაქო საზოგადოების, ინდუსტრიის, კერძო სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეების კოორდინირებულ და შეთანხმებულ ძალისხმევას, ისევე როგორც სრულად გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღების პროცესებს.

**აჭარის ა/რ ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის შედეგად კითხვაზე რა არის მდგრადი განვითარება?, 53,7%-მა სწორად უპასუხა - მომავალი თაობების უფლება**

ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებით (იხ. დანართი № 8).

2030 დღის წესრიგის მიზანია მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების შექმნამ უზრუნველყოს ყველასთვის სამართლიანობის ხელმისაწვდომობა და ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა. გარემოსდაცვით საკითხებში სამართლიანობის ეფექტური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების სხვა მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის.

გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციისა და მისი პროტოკოლის დაცვა მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს ქვეყნების პოლიტიკას სხვადასხვა სფეროში მდგრადი განვითარების შესაბამისი მიზნების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს ყველა ადამიანის, მათ შორის უღარიბესი და ყველაზე დაუცველ პირების და ჯგუფების შესაძლო კეთილდღეობას. ხოლო სოფლის თემებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე. ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება, აგრეთვე ყოველ მოქალაქეს გააჩნია მოვალეობა ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად.

ჯერ კიდევ ორჰუსის კონვენციის მიღებამდე საქართველოში გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რომელიც გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელობასა და მდგრადი განვითარების საკითხებს ეხებოდა.

„ნათელია, რომ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მომავალი თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და მდგრადი გარემოსდაცვითი განწყობა-დამოკიდებულებებით.

ეკოლოგიური განათლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი გარემოს დაცვისა და მდგრადი მენეჯმენტის საქმეში საყოველთაოდაა აღიარებული. მისი კრიტიკული როლი ნათლადაა ჩამოყალიბებული მსოფლიოს კონსერვაციის კავშირის (IUCN) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ 1980 წელს განცხადებულ

„კონსერვაციის მსოფლიო სტრატეგიაში“. ეს მნიშვნელობა ასევე ხაზგასმით აღინიშნა 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამართულ გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე („აჯენდა-21“), რომელიც გარემოს დაცვით ქმედებათა გლობალურ ჩარჩოს წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში ეკოლოგიური განათლების განსაკუთრებული როლი კიდევ ერთხელ 1997 წელს აღინიშნა UNESCO-ს დოკუმენტში „განათლება მდგრადი მომავლისათვის“.

რაც შეეხება საკუთრივ ეკოლოგიურ განათლებას – მისი როლი, მნიშვნელობა და სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“.

გარდა ამისა, ცხადია, რომ ნებისმიერი ცოდნის მიღება და გამოყენება ჩვენს ეპოქაში პრაქტიკულად საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა, ხოლო კონკრეტული ცოდნის მიღებისა და გამოყენების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, სათანადო გარემოსდაცვითი ცნობიერების გარეშე, რეალურ ხიფათს უქმნის როგორც თავად ამ ცოდნის მატარებელს, ისე ადამიანთა საარსებო გარემოს, ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; ეს საფრთხე, საქართველოში კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტის ქსელის განვითარების კვალობაზე, დღითიდღე გაიზრდება.

ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას ანგარიშგასაწევია პრობლემის მორალურ-პოლიტიკური ასპექტიც: ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემაში გარემოს დაცვას, ველური ბუნების კონსერვაციასა და მდგრად განვითარებას პრიორიტეტული როლი აქვს მინიჭებული. საქართველო, როგორც ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი, ვალდებულია ზრდიდეს თაობებს, რომლებიც იზიარებენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და თავისი მოღვაწეობით დამატებით საფრთხეს არ უქმნიან საარსებო გარემოს.

ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს რისი საშუალებითაც ადამიანი და მთლიანდ საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნების და გაუმჯობესების საქმეში; იგი არის უმნიშვნელოვანესი სოციალური სტრატეგია, რომელიც თავის საბოლოო მიზნად ისახავს ისეთი ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა საკუთარი საარსებო გარემოს შესახებ, აქვს შეფასების უნარი, ფლობს გარემოსთან ურთიერთობის პრაქტიკულ

უნარ-ჩვევებს, და გამომუშავებული აქვს ძირითადი (მათ შორის გარემოსდაცვითი) განწყობა-დამოკიდებულებები.

ამასთან, ეკოლოგიური განათლება არ წარმოადგენს ცალკე მდგომ საქმიანობას და არ არის გამიჯნული სხვა სოციალური სტრატეგიებისაგან. პირიქით, იგი მათთან კომპლექსში არის გააზრებული, დაგეგმილი და ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც კომუნიკაცია, ეკონომიკა, პოლიტიკა, კანონმდებლობა, ეკოლოგიური მონიტორინგი, დაგეგმარება და სხვ.

ეკოლოგიური განათლების პროცესში აუცილებელია განიხილებოდეს ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი გარემოს ყველა ასპექტი: ეკოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნიკური, სოციალური, საკანონმდებლო, კულტურული, რელიგიური და ესთეტიკური.

ეკოლოგიური განათლება ეხმარება ქვეყნის მოსახლეობას გარემოსდაცვითი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრობლემების გამოვლენაში, ამ პრობლემების შესწავლაში და მათი გადაჭრის აუცილებელი გზების გამოძენაში. იგი საშუალებას აძლევს ადამიანებს საკუთარი ძალებით გაერკვენ მოსალოდნელ ცვლილებებში და თავად შეაფასონ შესაძლებელი ალტერნატივების ღირებულება და სარგებელი.

გარემოს წარმატებული დაცვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და იმ პრაქტიკული პროგრამების არსებობაზე, რომელთაც ეთანხმება და მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ მოსახლეობას გათვითცნობიერებული აქვს თუ რას ითვალისწინებს, რა კომპონენტებს მოიცავს ეს პროგრამები და რა შედეგებია მოსალოდნელი მათი განხორციელების შემთხვევაში“.<sup>42</sup>

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე** ჩატარებული კვლევის მთავარი მიზანი სწორედ ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობის წარმოჩენა და ეკოლოგიური დემოკრატიის განმარტებაში ერთ-ერთ ელემენტად ეკოლოგიური განათლების ცნების ჩამატება იყო. კითხვათა თანამიმდევრობა ისე იყო შერჩეული, რომ

---

<sup>42</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 18 დეკემბრის №53 ბრძანებულება მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შესახებ

<https://www.matsne.gov.ge/document/view/99460?publication=0>

რესპონდენტთა გათვითცნობიერება მოეხდინა. პირველი კითხვა, როგორც უკვე აღინიშნა, იყო - „რა არის ეკოლოგიური დემოკრატია?“, რომელსაც შემეცნებითი თვალსაზრისით მოჰყვებოდა ეკოლოგიური დემოკრატიის არსზე და პრინციპებზე შეკითხვები. მათგან მეორე კითხვა ერთობლივად მოიცავდა სამ პრინციპს და პასუხებიც საყურადღებო იყო: ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის აუცილებელია: 7%-მა უპასუხა - გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, 23,5%-მა აირჩია გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, 32,1%-მა - საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ხოლო 37,5% თვლის, რომ აუცილებელია სამივე ერთად (იხ. დანართი № 9). მეექვსე კითხვა კი კვლავ იმეორებდა პირველ კითხვას: წინა კითხვების გათვალისწინებით, ეკოლოგიური დემოკრატია არის..., რაზედაც 57,5%-მა უპასუხა - თითოეული ჩვენთაგანის პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის კუთხით. ანუ სწორი პასუხის გამცემთა რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა (იხ. დანართი № 10).

ამის შემდეგ დასმული რამდენიმე შემეცნებითი კითხვის შემდეგ საბოლოო კითხვა ისევ მეორდებოდა: ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით ეკოლოგიური დემოკრატია არის..., რომელზეც ასეთი პასუხები დაფიქსირდა: 70,2% სწორად თვლის, რომ ეს არის - თითოეული ჩვენთაგანის აქტიური მონაწილეობა გარემოსდაცვითი საკითხების გადასაწყვეტად, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ახლანდელი და მომავალი თაობების მდგრადი განვითარებისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად; ხოლო დანარჩენმა აირჩიეს არასწორი პასუხები (იხ. დანართი № 11). სწორი პასუხების გაცემის ზრდის ტენდენციამ დასკვნის სახით გვაჩვენა, რომ ეკოლოგიური დემოკრატიის განსახორციელებლად, სხვა ყველაფერთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია შესაბამისი განათლების აუცილებლობაც (ამის დასტურად არასწორი პასუხებიც კი გამოდგება, რადგან კვლავაც დიდი ძალისხმევას ამ კუთხით გათვითცნობიერების ასამაღლებლად საჭირო), ასევე მნიშვნელოვანია ეკოლოგიური დემოკრატიის ცნებაშივე ჩაემატოს განათლების აუცილებლობის შესახებ ერთგვარი დათქმა.

კვლევისათვის შერჩეული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებიდან თითქმის თანაბარი რაოდენობის რესპონდენტები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 315 ადამიანმა (იხ. დანართი № 12).

## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის ამოცანები, როგორც შესავალში აღინიშნა, იყო ეკოლოგიური დემოკრატიის ცნებისა და არსის შესწავლა, გარემოსდაცვითი შინაარსის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გარემოსდაცვითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევა, ასევე „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით მდგრადი განვითარების“, როგორც ახალი პრინციპის, დახასიათება, რომელთა რეალიზებისათვის აუცილებელ ამოცანად იყო მიჩნეული ეკოლოგიური განათლება.

ამ ამოცანების საფუძვლიანი დამუშავების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ საკითხის უფრო ღრმად და ამომწურავად შესასწავლად, სამომავლოდ, მიზანშეწონილია სადოქტორო დისერტაციის დაწერა, თუმცა მანამდე შეიძლება დასკვნის სახით ჩამოყალიბდეს:

ეკოლოგიური დემოკრატიის თაობაზე არსებული საერთაშორისო თუ შიდაეროვნული სამართლებრივი წესრიგი ადეკვატურად ვერ უპირისპირდება გარემოს დაცვის სფეროში მდგომ გამოწვევებს. მათი ნორმატიული მიზნები არასაკმარისად გლობალურია იმისთვის, რომ შეიქმნას ყოვლისმომცველი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური დემოკრატიის უწყვეტ და მდგრად განვითარებას. ამასთან, ეს აქტები მხოლოდ ჩარჩოა, რომელთა ეფექტიანი ამოქმედებისათვის უფრო დაწვრილებითი წესების შექმნაა საჭირო.

საქართველოს კონსტიტუცია, ორჰუსის კონვენცია, ბუდვას დეკლარაცია და სხვა სამართლებრივი აქტები ეკოლოგიური დემოკრატიის პრინციპების ნორმატიული რეგულირების იქით საზოგადოების გარემოსდაცვითი კუთხით გათვითცნობიერებისა და პასუხისმგებლობის შეგრძნების ამაღლების პრაქტიკულ მექანიზმს ვერ გვთავაზობენ, რაც ახლანდელი და მომავალი თაობების მდგრადი განვითარებისათვის პრობლემურ მდგომარეობას ქმნის.

ეკოლოგიური დემოკრატიის სრულად რეალიზებისათვის აუცილებელია ეკოლოგიური განათლების შეუქცევადი, მიზანმიმართული და კვალიფიციური წახალისება, რათა ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის შეიქმნას ეკოლოგიური და ეკო-



ნომიკური ინტერესების სწორად დაბალანსებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური დემოკრატიის ცნების განმარტებაში შევიდეს ცვლილება და ის ჩამოყალიბდეს შენმდეგნაირად:

ეკოლოგიური დემოკრატია – საზოგადოების თითოეული წევრის აქტიური მონაწილეობა გარემოსდაცვითი საკითხების გადასაწყვეტად, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ახლანდელი და მომავალი თაობების მდგრადი განვითარებისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად, რომელიც მიიღწევა მიზანმიმართული ეკოლოგიური განათლებით.

## ბიბლიოგრაფია


1. საქართველოს კონსტიტუცია  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2. კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>
3. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის  
<https://www.matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0>
4. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ,  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=30>
5. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი,  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3691981/7/ge/pdf>
6. საქართველოს კანონი წყლის შესახებ,  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/33448/26/ge/pdf>
7. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 18 დეკემბრის №53 ბრძანებულება მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შესახებ  
<https://www.matsne.gov.ge/document/view/99460?publication=0>
8. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №1124 განკარგულება საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ [http://gov.ge/files/495\\_65924\\_530178\\_1124.pdf](http://gov.ge/files/495_65924_530178_1124.pdf)
9. ავტორთა კოლექტივი, „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, თბილისი, 2013  
[http://www.library.court.ge/upload/Constitution\\_Commentary\\_Human\\_Rights.pdf](http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf)

10. ავტორთა კოლექტივი, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, ტომი 3, თბილისი, 2016 <http://lawlibrary.info/ge/books/giz2016-ge-handbook-legal-bases-public-administration.pdf>
11. ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.
12. ნინო ანთაძე, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენცია, თბილისი, 2013  
[http://www.library.court.ge/upload/Guide\\_2013\\_KG\\_FINAL.pdf](http://www.library.court.ge/upload/Guide_2013_KG_FINAL.pdf)
13. ლევან იზორია, თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009  
<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/203686/1/TanamedroveSaxelmcifoTanamedroveAdministracia.pdf>
14. მარინე კვაჭაძე, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში, თბილისი, 2019,  
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvleva-garemosdacviti-informaciis-xelmisawvdomobis-sakitxebze.pdf>
15. პიტერ მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005  
<http://45.9.47.22:777/ViewBook.php?Key=P=cTO4YDfmRGcuMzN3ITLr92bCVGfzczNywXN4IDNm>
16. ორჰუსის კონვენციის განხორციელების ეროვნული ანგარიშის ფორმატი IV/4 (ECE/MP.PP/2011/2/Add.1) გადაწყვეტილების შესაბამისად,  
<https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/41199>
17. Global capitalism and the demise of the left: renewing radicalism through inclusive democracy, edited by Steve Best, special issue winter, 2009  
<https://www.inclusivedemocracy.org/journal/pdf%20files/pdf%20vol5/Special%20Issue%20Winter%202009.pdf>
18. Takis Fotopoulos, The Multidimensional Crisis and Inclusive Democracy, Athens, 2005, გვ. 245


- <https://www.inclusivedemocracy.org/journal/pdf%20files/Multidimensional%20Crisis%20Book.pdf>
19. Takis Fotopoulos, What is Inclusive Democracy?, Routledge Encyclopedia of International Political Economy, 2001  
[https://www.inclusivedemocracy.org/fotopoulos/english/brbooks/inclusive\\_entry.htm](https://www.inclusivedemocracy.org/fotopoulos/english/brbooks/inclusive_entry.htm)
  20. Будванская декларация „Экологическая демократия в интересах нашего устойчивого будущего“  
[https://unece.org/fileadmin/DAM/env/pp/mop6/HLS/ECE\\_MP.PP\\_2017\\_16\\_Add.1-ECE\\_MP.PRTR\\_2017\\_2\\_Add.1\\_R.pdf](https://unece.org/fileadmin/DAM/env/pp/mop6/HLS/ECE_MP.PP_2017_16_Add.1-ECE_MP.PRTR_2017_2_Add.1_R.pdf)
  21. Экологическая демократия: 12 примеров практических действий, Киев, 2004  
[http://eng.menr.gov.ua/docs/public-orhus/Aarhus\\_konv.pdf](http://eng.menr.gov.ua/docs/public-orhus/Aarhus_konv.pdf)
  22. „Экологическая демократия: миф или реальность в Беларуси“, Беларусь, 2017.  
<https://greenbelarus.info/library/ekologicheskaya-demokratiya-mif-ili-realnost-v-belarusi>
  23. ონლაინ ლექსიკონი <https://artsandculture.google.com/entity/m0ct2y6?hl=en>

# დანართები

## დანართი № 1



## დანართი № 2



დანართი № 3

სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL  
PROTECTION AND AGRICULTURE  
OF GEORGIA

N 6740/01  
30/06/2021

6740-01-2-202106301727



მოქალაქე დავით სამნიძეს  
(ელ.ფოსტა: davidssamnidze4@gmail.com)

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 14 ივნისს შემოსული #10377 წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის დანართი 1-ით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისას საზოგადოების მონაწილეობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხს, გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აღნიშნული სახით ინფორმაციის დამუშავებას არ ახორციელებს.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი




პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი  
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი



დანართი № 4

მიგიღიათ მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

315 პასუხი




- დიახ
- მქონდა სურვილი და ვერ მივიღე მონაწილეობა
- არა
- არ ვიცოდი მსგავსი შესაძლებლობის შესახებ

## დანართი № 5

თქვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი საკითხების დასაგეგმად ან უკვე დაგეგმილზე მოსახრების გამოსათქმელად გამართულ რაიმე ღონისძიება?


315 პასუხი




## დანართი № 6

ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების განმტკიცებას ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართულობა/მონაწილეობა გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტაში?


315 პასუხი



## დანართი № 7



## დანართი № 8






## დანართი № 9

ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის აუცილებელია:

315 პასუხი




- გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა
- საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა
- ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ერთად.

## დანართი № 10


წინა კითხვების გათვალისწინებით, ეკოლოგიური დემოკრატია არის...

315 პასუხი



- ინკლუზიური დემოკრატის ერთ-ერთი სახე
- სახელმწიფო მმართველობის ახალი სახე
- თითოეული ჩვენთაგანის პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის კუთხით
- სხვა

## დანართი № 11



## დანართი № 12

